CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 13 ივლისი, 2009 წელი. №156 (2194) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



# კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტი

*ნაბუკოს პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა - დღეს რამდენიმე ქვეყანა ხელს მოაწერს შეთანხმებას პროექტის რეალიზაციის თაობაზე. პროექტში მონაწილეობასა და, რუსეთის გვერდის ავლით, ევროპისთვის გაზის მიწოდებას მოულოდნელად თურქმენეთი დათანხმდა, რამაც ნაბუკოს პერსპექტივები ბევრად გააუმჯობესა, კრემლი კი ფინანსური და პოლიტიკური მარცხის საფრთხის წინაშე დააყენა. ნაბუკოს რეალიზაციით, გზა ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისკენ საქართველოს უსაფრთხოებაზე გაივლის.*

დიმიტრი ავალიანი

ნაბუკოს" გაზსადენის პროექტის შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმება დღეს, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაფორმდება. დოკუმენტს ხელს მოაწერენ თურქეთი, ავსტრია, ბულგარეთი, რუმინეთი და უნგრეთი. შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება.

პროექტის აქციონერები არიან ხუთივე ქვეყნის სახელმწიფო ენერგოკომპანიები, ასევე გერმანული კომპანია RWE. მთავრობათაშორისი ხელშეკრულების თანახმად, ახალი გაზსადენით კასპიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში მოპოვებული ბუნებრივი აირი ევროპას აზერბაიჯანისა და საქართველოს გზით მიეწოდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსული გაზი უკრაინულ პოლიტიკაში

ლევან ღირსიაშვილი
*კიევიდან*

*მართალია უკრაინაში ცხელი ზაფხული დგას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინელებს გასული ზამთრის გამყინვარება დაავიწყდათ. ისევ არსებობს მომავალი ზამთრის შიში. თანაც, ზამთარში უკრაინამ ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. ძნელი სათქმელია, დაემთხვევა თუ არა უკრაინელი ხალხის არჩევანი მოსკოვის სურვილს. არც ის იცის ვინმემ, როგორ "პახმელიაზე" გაღვიძებენ კრემლში ნახალწლევს. მოკლედ, უკრაინაში ენერგეტიკა და პოლიტიკა უკვე მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ძნელი სათქმელია, თუ რომელი რომელს განსაზღვრავს.*

პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო და "რეგიონების პარტიის" ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი ის ფიგურები არიან, ვის გარშემოც ხდება ძირითადი პოლიტიკური და ფინანსური ძალების კონცენტრაცია. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, პირველ ადგილზე ვიქტორ იანუკოვიჩია.

გაგრძელება A7 გვერდზე

800 მილიონზე მეტი - "მაგთიკომის" წვლილი ქართულ ეკონომიკაში

მაგთიკომის მიერ ქართულ ეკონომიკაში შეტანილმა წვლილმა 2009 წლის 10 ივლისისათვის 800 მილიონ ლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 100 მილიონამდე შენატანი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში განხორციელდა, რაც უდავოდ მიუთითებს კომპანიის მზარდ წარმატებებსა და შესაძლებლობებზე.

მაგთიკომი დაარსდა 1996 წლის თებერვალში, კომერციული საქმიანობა კი 1997 წლის სექტემბერში დაიწყო. საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილით მაგთიკომი უცვლელი ლიდერია 2002 წლიდან. დღეისათვის იგი სამი ბრენდით - მაგთი", ბალი'' და მაგთი ფიქსი'' - ორ მილიონ აბონენტზე მეტს ემსახურება.

თუ თვალს გადავავლებთ მაგთიკომის მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო პროექტებსა თუ ღონისძიებებს, გამოიკვეთება კომპანიის მიერ განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში, ასევე ქართულ ხელოვნებაში, კულტურასა თუ სპორტში შეტანილი არანაკლებ მნიშვნელოვანი წვლილიც.

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენს საფარველ ჯგუფი

# მიხეილ სააკაშვილი: დრო ქვეყნის ასალორძინებლად უნდა გამოვიყენოთ

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უცხოეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებთან და ეკონომიკის ექსპერტებთან გუშინ გამართული შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევები მათთან ერთად უნდა იქნას გადალახული. პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლება არავის მისცემს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნის შესაძლებლობას და მთავრობის მიერ დაწყებული რეფორმები გაგრძელდება.

"ქართულმა საზოგადოებამ დაგვანახა, რომ სიმტკიცის და სტაბილურობის შენარჩუნება შეუძლია. დადგა დრო, ყველანი დავსერიოზულდეთ. თბილისში მიმდინარე აქციებმა და პოლიტიკურმა ლოზუნგებმა, რომლებიც ყოველი ქუჩის კუთხეში ისმოდა, უამრავი ინვესტიცია და სამუშაო ადგილი დაგვაკარგინა. ბიზნესმენები რამდენიმე კვირის განმავლობაში დაშინებულები იყვნენ და ზოგმა დაიჯერა კიდეც, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და დესტაბილიზაციის საშუალებას არც მივცემთ არავის. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები გაგრძელდება. ამ პროცესში კი უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების აქტიური მონაწილეობაა საჭირო," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს ეკონომიკის გაძლიერება, დღევანდელი რეგიონული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყნის გადარჩენის საკითხია.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სერიოზულად შეეხო საქართველოს, რასაც დაემატა შიდა პოლიტიკური დაძაბულობა და ის მუქარები და პოლიტიკური ლოზუნგები, რომლებსაც ეკონომიკური ფასი გააჩნია და შედეგად, ქვეყანამ რამდენიმე ასეული ათასი ინვესტიცია და ათეული ათასი სამუშაო ადგილი დაკარგა.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

## პირველი ემირიტუსები საქართველოში

10 ივლისს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამსახურებული პროფესორებისთვის ემირიტუსის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა. ემირიტუსის საპატიო წოდება 12 პროფერორს მიენიჭა. ესენი არიან: იასონ ნადირაძე, აივენგო შათირიშვილი, გიორგი ნახუცრიშვილი, ჯუანშერ ჩქარეული, ნათელა იმედაძე, შუქია აფრიდონიძე, იზაბელა ქობალავა, კონსტანტინე ფიცხელაური, მზია გვენცაძე, გურამ (ვახტანგ) ლებანიძე, მზია ბაქრაძე და მზია მიქაძე.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, რომლის პროფესორებიც ემირიტუსის სტატუსის მატარებლები არიან.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ემირიტუსი არის აკადემიური წოდება, რომელიც მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ენიჭება. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ამ საკითხს კიდევ უფრო აზუსტებს. მასში აღნიშნულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 65 წელს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ემირიტუსის წოდებას ანიჭებს. ემირიტუსის სტატუსი პროფესორებისთვის ნიშნავს მუდმივ კონტრაქტს, მეტ ანაზღაურებას, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის სრულ თავისუფლებას, - განაცხადა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ საზეიმო ცერემონიალზე.

თავის მხრივ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ოჩიაური მიიჩნევს, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, არამედ საერთოდ, საქართველოს განათლების სისტემისთვის. ემირიტუსის საპატიო წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ, გაიმართა ფალიაშვილის სახელობის „ 1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის - ნიჭიერთა ათწლედის სტუდენტთა კონცერტი. **საკუთარი ინფორმაცია**

## ამერიკული სამხედრო გემი ბათუმში

14 ივლისს ბათუმის პორტში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო გემი შემოვა, რომელიც ქართულ-ამერიკულ ერთობლივ სწავლებაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ განაცხადებშია ნათქვამი. მსგავსი სახის ვიზიტი ბათუმის პორტში მარტშიც მოეწყო, როდესაც ბათუმში ოთხდღიანი მეგობრული ვიზიტით აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატი კლაკრინგი შემოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ერთობლივი სწავლება ჩატარდა, რომელშიც საქართველოს სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. **პირველი**

## გაცნობითი შეხვედრა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი დღეს გაერო-ს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელ ბო ასპლუნდს შეხვდება. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იქნება. ასპლუნდთან განხილული საკითხების შესახებ განცხადებებს თემურ იაკობაშვილი მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ გააკეთებს. თემურ იაკობაშვილისა და ბო ასპლუნდის შეხვედრა მთავრობის კანცელარიაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## ცხინვალის ამბები

ცხინვალს რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუ ეწვევა, - ამის შესახებ ოსინფორმი იუწყება. შოიგუს ე.წ. სამხრეთ ოსეთში მომავალ კვირაში ელოდებიან. ვიზიტის მიზანია დე ფაქტო რესპუბლიკაში აღდგენითი სამუშაოების დათვალიერება და ოსი კოლეგების დახმარება. რუსი მინისტრი ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებსაც შეხვდება და აქტუალურ საკითხებს განიხილავს. სერგეი შოიგუ გასული წლის აგვისტოში დე ფაქტო რესპუბლიკის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების ფედერალურ შტაბს ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, 14 ივლისს ცხინვალში შერეული სამშვიდობო ძალების შეყვანის მე-17 წლისთავს აღნიშნავენ. ცხინვალის რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ მურატ ჯიოევის შეფასებით, 17 წლის განმავლობაში სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტი იყო. სამხრეთ ოსეთის ხალხი და ხელისუფლება ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა სამშვიდობო ოპერაციას. სამხრეთ ოსეთის ხალხისთვის 1992 წლის 14 ივლისი დღესასწაულად იქცა, - აცხადებს ჯიოევი.

**საკუთარი ინფორმაცია**

# კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტი

პირველი გვერდიდან

სავარაუდო მომწოდებლებს შორის ირანი და ერაყიც განიხილება. "ნაბუკო" ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის გაგრძელება იქნება და ყოველწლიურად, დაახლოებით, 30 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს. გაზსადენის მშენებლობის დაწყება 2011 წლისთვის იგეგმება, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება კი 2014 წლიდან დაიწყება. "ნაბუკოს" პროექტის ღირებულება 8 მილიარდ ევროს შეადგენს.

შეთანხმების ხელმოწერას აქამდე თურქეთის პოზიცია უშლიდა ხელს, რომელიც ტრანსპორტირებული გაზის 15 პროცენტს მოითხოვდა. თუმცა, გაზეთ ფაინეშენალ თაიმსის ინფორმაციით, ანკარამ ეს მოთხოვნა სხვა გარანტიების მიღების შემდეგ მოხსნა. ევროპული ქვეყნების მაღალჩინოსნები იმასაც ამტკიცებენ, რომ 15 პროცენტის საკითხი საბოლოოდ მოგვარდა.

როგორც ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია აღნიშნული, სამთავრობათაშორისო შეთანხმება ზუსტად დაადგენს ვადებსა და პირობებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში განხორციელდება კასპიის ზღვისა და ახლო აღმოსავლეთიდან ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპაში.

ამის თაობაზე ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ აღნიშნა, რომ ნაბუკო **კრიტიკულად მნიშვნელოვანია ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.** მისი განცხადებით, **დოკუმენტის ხელმოწერა დაადასტურებს, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ეს პროექტი რეალობად რაც შეიძლება მალე ვაქციოთ.**

რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც ევროპაში გაზის მიწოდების საკუთარი პროექტების განხორციელება ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაკადების სახით აქვს დაგეგმილი, ნაბუკოს პროექტზე აქამდე დაუფარავი ირონიით საუბრობდა. რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი აცხადებდა, რომ კონკურენტი პროექტების წინააღმდეგი არ არის, თუმცა არ იცის, ნაბუკოსთვის გაზს ევროპელები **საიდან მოიტანენ.**

მტკივნეული დარტყმა საკუთარ პოზიციებსა და საკუთარი პროექტების პერსპექტივებზე რუსეთმა ბოლო დღეებში მიიღო. პირველი ასეთი სიურპრიზი მოსკოვს თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა გაუმზადა, რომელმაც ნაბუკო -ს პროექტში მონაწილეობის სურვილი ღიად დააფიქსირა. როგორც მან გასულ პარასკევს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ქვეყანას გასაყიდი გაზის სერიოზული მარაგი აქვს. **თურქმენეთი მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიცირებას ემხრობა და აპირებს, აამოქმედოს არსებული შესაძლებლობები მსხვილ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის, ისეთებში, როგორიც არის ნაბუკო,** - განაცხადა თურქმენეთის პრეზიდენტმა.

მეორე დღეს თურქმენეთის დედაქალაქში მოლაპარაკებები გამართა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერნსმა. იგი მიესალმა თურქმენეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ნაბუკოს პროექტში მონაწილეობის შესახებ და თურქმენულ მხარეს ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების უზრუნველყოფაში დახმარება შესთავაზა.

აქამდე თურქმენეთის ძირითადი პარტნიორი გაზპრომი იყო, თუმცა რუსეთთან ამ ქვეყნის ურთიერთობა მას შემდეგ გართულდა, რაც 9 აპრილს გაზპრომმა , რომელიც თურქმენეთს გაზის ფასებზე ვერ შეუთანხმდა, ბუნებრივი აირის შესყიდვის შემცირების შესახებ განაცხადა. ამას, ავარიის მიზეზით (ისევე, როგორც 2006 წელს საქართველოში), თურქმენეთ-უზბეკეთის საზღვარზე გაზსადენის აფეთქება მოჰყვა. მას შემდეგ რუსეთს თურქმენეთისგან გაზი არ შეუსყიდია.

რეგიონში რუსეთის ენერგეტიკულ გეგმებზე მეორე სერიოზული დარტყმა ბულგარეთში გამართული საპარლამენტო არჩევნები გახდა. გამარჯვებული პარტია გერბის არაფორმალურმა ლიდერმა, ქვეყნის მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ბოიკო ბორისოვმა განაცხადა, რომ რუსეთთან ენერგეტიკულ საკითხებში თანამშრომლობის შეჩერებას აპირებს. სხვა პროექტებთან ერთად, გაიყინება მოლაპარაკებები სამხრეთის ნაკადის რეალიზაციის თაობაზეც. ეს გადაწყვეტილება პოლიტიკოსმა ამ პროექტების მიზანშეწონილობის ხელახალი შესწავლის აუცილებლობით ახსნა.

ბულგარეთს სამხრეთის ნაკადის პროექტში წამყვანი ტრანზიტული ქვეყნის როლი ენიჭებოდა - რუსული გაზი ნოვოროსიისკიდან ვარნამდე შავი ზღვის ფსკერით უნდა მიწოდებულიყო. შეთანხმებები პროექტის რეალიზაციაზე რუსეთმა, ბულგარეთის გარდა, საბერძნეთთან და სერბეთთან გააფორმა. პროექტის ღირებულებად 8 მილიარდი ევრო სახელდებოდა, თუმცა გაზპრომის წარმომადგენლები 25 მილიარდ დოლარამდე ინვესტიციების განხორციელების საჭიროებაზეც საუბრობდნენ.

გაზპრომი გარკვეულ იმედებს დღემდე აზერბაიჯანულ გაზზეც ამყარებს. 28 ივნისს, ბაქოში, ხელი მოწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, რუსეთი მომავალი წლიდან აზერბაიჯანისგან 500 მილიონ კუბურ მეტრ გაზს შეისყიდის, შესყიდვების მომავალი გაზრდის პერსპექტივით. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, ხელმოწერილი დოკუმენტი არ შეიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს და მხოლოდ მომავალი კონტრაქტის პირობებს განმარტავს.

თუმცა, იმავდროულად, აზერბაიჯანი ნაბუკოში მონაწილეობასაც ოფიციალურად ადასტურებს. **"აზერბაიჯანს გაზის დიდი მარაგი აქვს. ჩვენ შეგვიძლია გაზით უზრუნველვყოთ რამდენიმე პროექტი. აზერბაიჯანი ნაბუკოს გაზსადენს პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს და პრიორიტეტს ანიჭებს,"** - განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ხელმძღვანელმა როვგან აბდულაევმა.

დღევანდელი ხელმოწერით პროექტში მონაწილე ქვეყნები მისი განხოციელების პოლიტიკურ ნებას გამოხატავენ, თუმცა ნაბუკოს მშენებლობისთვის ინვესტიციების მოზიდვის საკითხი ღიად რჩება. ალტერნატიული ენერგეტიკული პროექტების დაჩქარების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირმა გასულ წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მიიღო. მიმდინარე წლის იანვარში, რუსეთ-უკრაინის გაზის ომის შემდეგ, ევროკავშირმა ნაბუკო -ს პროექტის რეალიზაციისთვის 250 მილიონი ევრო გამოყო.

ვინ დააფინანსებს პროექტს, რომლის ღირებულება 8 მილიარდ ევროს აღემატება, სავარაუდოდ, სწორედ ხელმოწერის შემდეგ გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად არიან პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღონ, თუ მონაწილე ქვეყნები მის რეალიზაციაზე საბოლოოდ შეთანხმდებიან.

წარმატებული რეალიზაციის შემთხვევაში, ნაბუკოს პროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის ევროპის ქვეყნების დაინტერესებას საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის უსაფრთხოებით. ამასთან, შეამცირებს ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებას რუსულ გაზზე, შესაბამისად კი - რუსულ პოლიტიკაზეც.

# მიხეილ სააკაშვილი: დრო ქვეყნის ასაღორძინებლად უნდა გამოვიყენოთ

პირველი გვერდიდან

ცალკეული პოლიტიკოსების სულსწრაფ ამბიციებს ქვეყნის შემოსავლებსა და ინვესტიციებს არ გადავაყოლებ , - განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ დასრულდა ის დრო, როდესაც რამდენიმე მეგაფონიანი ხულიგნის გამო სახელმწიფო დაწესებულებაში უცხოელი სტუმრების მიყვანა ან რესტორანში ვახშმით გამასპინძლება ვერ ხერხდებოდა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაიწყო საგადასახდო შემოსავლების ამოქაჩვა და ასევე გამოცოცხლების გზაზეა საბანკო სექტორიც. პრეზიდენტის განცხადებით, ასეთ ვითარებაში უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისა და ეკონომისტების გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

პრეზიდენტისა და ბიზნესმენების შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

გუშინ მიხეილ სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში რეგიონების რწმუნებულებსა და გამგებლებსაც შეხვდა. პრეზიდენტმა ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მსოფლიო კრიზისი ქვეყანამ შეიძლება აღორძინებისთვის გამოიყენოს და უახლოესი 2-3 წელიწადი საქართველოსთვის ისტორიული შანსია.

ყველა ბოლო მოვლენის შედეგად საქართველოს ახალი სამხედრო კონფრონტაციის საფრთხე არ აქვს და ეს დრო უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს, აღორძინდეს და გაძლიერდეს, - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ქართველმა მეწარმეებმა უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დანახვა მსოფლიო ბაზრის ნაწილად. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ გლობალური კრიზისის დასრულების შემდეგ, ქართული სასოფლო-სამეურნეო რესურსი მსოფლიო ბაზარზე აქტიურად გავა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ავლაბრის რეზიდენციის გახსნის გამო გუშინ საღამოს მიღებაც გამართა.

მიღებაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები, პარლამენტარები, მთავრობის წარმომადგენლები და კულტურის მოღვაწეები.

***საკუთარი ინფორმაცია***

# სალომე ზურაბიშვილი არჩევნებისთვის მზადებას ამჩნევს

გუშინ პარლამენტის შენობის წინ გამართულ საინფორმაციო მიტინგზე საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებისთვის ემზადება. ზურაბიშვილმა ამ განცხადების სისწორის დადასტურებაც სცადა. **ხელისუფლების მხრიდან არჩევნებისთვის მზადებაზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი რეგიონების რწმუნებულებსა და გამგებლებს, ასევე ბავშვებს შეხვდა,** - განაცხადა ზურაბიშვილმა. მან არჩევნების დანიშვნის შესახებ უფრო ვრცლად ისაუბრა შაბათს გამართულ საპროტესტო აქციაზე. **მე საპრეზიდენტოდ ისეთი კანდიდატი მყავს, რომელიც საქართველოში საერთოდ არ იმყოფება,** - განაცხადა საქართველოს გზის" ლიდერმა. ამასთანავე, მან ყურადღება გაამახვილა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე. **სიცრუეა მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ საქართველოში ეკონომიკური უკუსვლა ოპოზიციის მიტინგების შედეგია,** - აღნიშნა ზურაბიშვილმა. საქართველოს გზის" ლიდერის აზრით, პრეზიდენტის ასეთი განცხადებები წარმოადგენს პოლიტიკურ სვლას, რათა წინასაარჩევნოდ ოპოზიციის რეიტინგი დაეცეს. რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ ვითარებას, ზურაბიშვილის თქმით, ეკონომიკური კრიზისი არსებული ხელისუფლების და მის მიერ ხელშეწყობილი ელიტური კორუფციის" შედეგია. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში კორუფციას გაცილებით დიდი მასშტაბები აქვს, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს.

გუშინ რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო მიტინგზე კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა დღევანდელი გეგმების შესახებ გააკეთა განცხადება. მისი თქმით, დღეს, 12:00 საათზე, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით, თბილისის საკრებულოს შენობასთან გაიმართება საპროტესტო აქცია, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლები ქალაქის საკრებულოს მოუწოდებენ, არ შემოიღოს გადასახადი თბილისის სასაფლაოებზე. **საფლავის გადასახადის შემოღება არის საზოგადოების და მიცვალებულის შეურაცხყოფა, ამას ხალხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეგუოს,** - განაცხადა ჩხარტიშვილმა.

***საკუთარი ინფორმაცია***

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ნოდარ ლადარია



გარდაიცვალა მაიკლ ჯექსონი... უკვე აღარც მახსოვს, როდის მოკვდა: ისე უსაშველოდ გაიწელა სიკვდილის თითქოს ბანალური პროცედურა, რომ ერთი პირობა ვიფიქრე, მეგრელი ხომ არ იყო-მეთქი. პოპ-მუსიკის კორიფეს თავისი წილი გლოვა ქართველებისაგანაც ერგო და შემოქმედის სიკვდილი მსოფლიო მასშტაბის მოვლენად უნდა ვაღიაროთ, არც მე ვგრძნობ ვალდებულებას მხოლოდ და მხოლოდ "24 საათის" მასალებით შემოვიფარგლო...

თუმცა თავიდანვე უნდა ვაღიარო, რომ მაიკლ ჯექსონი და მისი სიკვდილი მხოლოდ საბაბია: რადიო "თავისუფლების" ვებსაიტზე გამოქვეყნებული სტატია, რომლის ავტორი გოგი გვახარიაა, საქართველოს ისტორიის მიმდინარე ეტაპს უფრო ეხმიანება, ვიდრე საკუთარ სათაურს: "ჯექსონი აღარაა — გვაცალეთ ცხოვრება!".

სტატია თავიდანვე აგებულია უკვე ჩვეულ და მოყირჭებულ მემარცხენე იდეაზე: პირადი პასუხისმგებლობა მინიმუმამდე დაიყვანება, რადგან ყველაფერი "გარემოს" ბრალია, თვით "ბრალდებული" კი მხოლოდ მსხვერპლია. მაინც როგორ? — ჯექსონმა განიზრახა საკუთარი სხეულის "გაუმჯობესება" ტექნიკური საშუალებებით, მაგრამ დამარცხდა; ავტორის თქმით, მისმა სიკვდილმა დაგვაფიქრა იმაზე, რომ "ბუნება (როგორ მოძველებულად ჟღერს ეს სიტყვა, არა?) ისევ არ თმობს ძალაუფლებას და ისევ სასტიკია მაშინ, როცა მას არაფრად აგდებენ". აი, ამის შემდეგ იჩენს თავს ხსენებული მემარცხენე იდეა: "დასკვნა, რომელსაც ჯექსონის ბიოგრაფები, ჟურნალისტები, კულტუროლოგები, ფილოსოფოსები, მღვდლები პოპ-ვარსკვლავის სიკვდილის შემდეგ აკეთებენ — "თავი დაიღუპა თავისი ამპარტავნობით" — იმდენად კატეგორიულია და იმდენად ტირაჟირებული, რომ ჩნდება ეჭვი: ხომ არ ცდილობს ცივილიზაცია, თავისი დანაშაული მსხვერპლს — ე.ი. მაიკლ ჯექსონს გადააბრალოს? მოიხსნას პასუხისმგებლობა და ყველაფერი ჯექსონის დესტრუქციული ვნებებით ახსნას?". თავისთავად, ეს ტირადა ძალიან წააგავს არტურ რემბოს ცნობილ პასაჟს, რომლის ოკრო-ბოკრო, მაგრამ შეძლებისდაგვარად ზუსტ თარგმანს ახლავე მოგახსენებთ: "მღვდლებო, პროფესორებო, ოსტატებო, თქვენ ცდებით, როცა ჩემ გამო მართლმსაჯულებას მოუხმობთ... მე არასოდეს ვყოფილვარ ქრისტიანი, მე იმათი ჯიშისა ვარ, ვინც ეშაფოტზე მღეროდა, მე არ მესმის კანონი, მე არა მაქვს არავითარი ზნეობრივი გრძნობა".

თავისთავად, სასიხარულოა, რომ საქართველოში ვინმეს მაინც შეუძლია ისე წერა, რომ მისი კითხვისას მსოფლიო ლიტერატურული ტრადიციის რომელიმე რგოლი მოგაგონდება. მაგრამ ახლა სხვა რამაა მნიშვნელოვანი — ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უნარისა და ღირებულების უარყოფა. პირდაპირ ვიტყოდი, მაგრამ დამაჯერებლობის მისაღწევად ნელ-ნელა უნდა მივუახლოვდე სათქმელს...

ამის შემდეგ გოგი გვახარია იწყებს მსჯელობას მაიკლ ჯექსონის პედოფილური მიდრეკილებების შესახებ. ჯერ ზოგადად: "პედოფილია თითქმის ყოველთვის და ყველგან ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. პედოფილებს, ჩვეულებრივ, ლინჩის წესით უსწორდებოდნენ — ციხის გარეთ ან ციხეში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დანაშაულის დამტკიცება უჭირდათ, პედოფილიაში უდანაშაულო ადამიანებსაც ამხელდნენ ხოლმე; შესაბამისად, ხელისუფლება, არცთუ იშვიათად, მიზანმიმართულად ამძაფრებდა საზოგადოების სიძულვილს პედოფილების მიმართ. შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც ამბავი ეგრეთ წოდებული "რუსთაველი მანიაკისა", რომელიც შეაგდეს ციხეში, მოჭრეს ყური... მაშინდელმა სახალხო დამცველმაც კი უარი თქვა მის დაცვაზე. ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ეს კაცი უდანაშაულო იყო". აქ საკვანძოა შემდეგი წინადადება: "ხელისუფლება, არცთუ იშვიათად, მიზანმიმართულად ამძაფრებდა საზოგადოების სიძულვილს პედოფილების მიმართ". მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი მანიაკის ამბავი არანაირად არ ამტკიცებს ამ "მიზანმიმართულ გამძაფრებას", თავისთავად, იდეა სავსებით შეესაბამება სიმართლეს: ადამიანებში პედოფილიის მიმართ სიძულვილის გაძლიერება მართლაც ხდება როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური საშუალებებით. მაგრამ რატომ ხდება ასე? — სწორედ იმ უნარისა და ღირებულების დასაცავად, რომელიც ცხადად ჯერ არ გვიხსენებია.

ტექსტის ბოლოს ავტორი ჯექსონის ადვოკატად გვევლინება: "მაიკლ ჯექსონსაც ვერ დაუმტკიცეს ეს დანაშაული. თუმცა სიტყვათა ეს წყობა — "მაიკლ ჯექსონი — პედოფილი" — დიდი ხანია, დამკვიდრებულია მსოფლიოში. არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯექსონი ბავშვებთან ერთად იწვა ხოლმე ლოგინში. 2003 წლის შემდეგ, როცა ისევ ამხილეს პედოფილიაში, "მოხალისე-ბავშვებს" ვეღარ პოულობდა და ბავშვ-მანეკენებთან ერთად იძინებდა! — მაგრამ რატომაა ეს პედოფილია?".

ამას მოჰყვება სტატიის დამაგვირგვინებელი დასკვნა, რომელსაც სრულად მოვიყვან: "რატომაა ეს არაბუნებრივი ადამიანისთვის, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, რომ აღარ უნდა გაზრდა (არა "სიკვდილი", არამედ სწორედაც რომ "გაზრდა")? ჩვენ ხომ არ ვიცით, რა უძღოდა წინ ამ განცდას? რამ განაპირობა "ბავშვად" დარჩენის ეს ვნება? უფრო მეტიც, სინამდვილეში ჩვენ ხომ არ ვიცით, რა არის მართლა "ბუნებრივი" და რა — "არაბუნებრივი"? განა "არაბუნებრივი მოვლენები" თავად ბუნების, სტიქიის მონაპოვარი არაა? იქნებ მაიკლ ჯექსონისთვის სწორედაც რომ ბუნებრივი იყო ეს სურვილები? იქნებ ეს იყო მისი "ზომა", მისი პროპორცია, მისი ადგილი ამ სამყაროში? იქნებ კიდევ დიდხანს, ბედნიერად ეცხოვრა გამაყუჩებლებისა და ძლიერი საძილე საშუალებების გარეშე — რომ არა ეჭვიანი, ფარისეველი და, რაც მთავარია, ძალიან ხელოვნური, ძალიან არაბუნებრივი სოციუმი, ცივილიზაცია, წლების მანძილზე რომ კლავდა პოპ-მუსიკის მეფეს და ახლა რომ დასტირის... უფრო მეტიც, ფულსაც რომ აკეთებს ამ ტირილზე".

აი, ახლა მოვიდა დრო, ვახსენოთ ადამიანის ის უნარი და ღირებულება, რომლის დასაცავად "ფარისეველმა" და "არაბუნებრივმა" სოციუმმა დანაშაულად შერაცხა პედოფილია: ეს არის თავისუფალი არჩევანი. უასაკო ყრმებთან სქესობრივი ურთიერთობა სწორედ იმიტომაა დანაშაული, რომ ბავშვს, ყოველ შემთხვევაში, ბავშვების უმრავლესობას ეს უნარი ჯერ არ აქვს გამომუშავებული. რა განსხვავებაა ბავშვებთან ლოგინში მონებივრე პოპ-ვარსკვლავსა და მათი ქარსა და მზეში მტანჯველ პლანტატორს შორის? — ორივე ბოროტად სარგებლობს უმწეოთა სისუსტით.

პასუხისმგებლობა, რომელიც ნორმათა გადამცდენს ეკისრება, სინამდვილეში იმის აღიარებაა, რომ მასაც აქვს თავისუფალი არჩევანი, რომ ისიც არ არის "გარემოს" ბრმა ნაშიერი. კონკრეტული ადამიანის დამნაშავედ აღიარება, სინამდვილეში, ზოგადად ადამიანის ღირსების აღიარებაა.

ასე და ამგვარად უტევს თავისუფალ არჩევანსა და ადამიანის ღირსებას ელიტარული მემარცხენე. მაგრამ არის სხვა ტიპიც — მემარცხენე ობივატელი, რომელსაც მხოლოდ მდაბიო ყოფითი აზროვნება აქვს იარაღად. ამ ტიპის ეგზემპლარად მოგვევლინა "24 საათის" 10 ივლისის ნომერში ლაშა ბუღაძე, ჩანახატით "რუსთაველის გათავისუფლება".

მსჯელობის სქემა შემდეგია: ავტორს ორი ძირითადი "ბუა" აშინებს — ზედმეტი ცენტრალიზაცია (თბილისი "თავკომბალურია") და ზედმეტი პოლიტიზაცია (პოლიტიკა, მოგეხსენებათ, "ბინძური" საქმეა). ერთი მხრივ, მართლაც მშვენიერი იქნება, თუ საქართველოში სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის გეოგრაფია მეტ-ნაკლებად თანაბარი იქნება, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, თუ რა ხერხებს გვთავაზობს ავტორი ამ "პრობლემის" გადასაწყვეტად.

აქაც "ბუნებრიობისა" და "ხელოვნურობის" პრობლემას ვაწყდებით: მოცემული ვითარება ხანგრძლივი და მხოლოდ ნაწილობრივ კონტროლირებადი სოციალური და პოლიტიკური პროცესების შედეგად შეიქმნა, მას შეიძლება ვუწოდოთ "ბუნებრივი". ამის საპირისპიროდ, ლაშა ბუღაძე გვეუბნება: "პარლამენტი წაიღე(ვი)თ ქალაქგარეთ, ანაც, კიდევ უკეთესი, გორში, ან ზუგდიდში! ჯერ ერთი, ფუნქცია მიენიჭება ამ ქალაქ-რეგიონებს და, მეორეც, პროცენტულად ბევრად უფრო მეტს შეეზარება დეპუტატობა". აქ განსაკუთრებულად მომხიბლავია ეს "ბევრად უფრო მეტს" — ჯერ ერთი, იმათ, ვისაც დეპუტატობა ეზარება, ძალიან უღიმის ჩვენი ავტორი და თან იმას გვეუბნება, რაღაც ნაწილს ისედაც ეზარებაო. ვინ არიან? — ნუთუ ისინი, ვინც საკუთარ ამომრჩეველს მიაფურთხა და მანდატები დახია?

ნუ დავწვრილმანდებით. აქ ისტორიული ვითარების ცვლილების მეტად ადვილ ხერხს გვთავაზობენ, ანუ "ბუნებრივს" "ხელოვნურით" ებრძვიან — სხვა რა გავიხსენოთ, თუ არა სკკპ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებები ყამირის გატეხვიდან ციმბირის მდინარეთა შემობრუნებამდე. მასშტაბი სხვაა, პრინციპი — იგივე. აი, შესაბამისი ციტატაც: "ერთი იურისტი მეუბნებოდა ამას წინათ, ვიდრე თბილისში იყო საკონსტიტუციო სასამართლო, ლეიბორისტებს ყოველდღე შეჰქონდათ საჩივარი, ახლა კი, რაც ბათუმში გადაიტანეს, იქით გახედვაც კი ეზარებათო", — ან მიზეზი რად ღირს, ან შედეგი. ამით უნდა ვიყოთ კმაყოფილნი. თუ ასე ადვილია ყველაფერი, რას მისდგნენ ფასადებსა და შადრევნებს? რამე შემოგვთავაზეს უფრო ღრმა და საფუძვლიანი?

ანდა, რა კავშირი აქვს ამას გოგი გვახარიას სტატიასთან? პირველში "ბუნებრიობას" ადიდებენ და "ხელოვნურობას" გმობენ, მეორეში — პირიქით. თითქოს პრინციპული განსხვავებაა. სულაც არა: ერთიც და მეორეც რეალობის ცალმხრივ აღქმაზე მიგვანიშნებს. რა მნიშვნელობა აქვს, სინამდვილის რომელ მხარეს დავთრგუნავთ რომლის სასარგებლოდ? — შედეგი ორივე შემთხვევაში სავალალო იქნება.

მაგრამ მსგავსება ამით არ ამოიწურება... გავიხსენოთ "იმედის" ეთერიდან ნაცნობი, ლამის ნახევარსაათიანი სარეკლამო კლიპი, რომელიც "იუმორინაზე" მოგვიხმობს. აქ აყვავებული საქართველოს ერთ-ერთ ატრიბუტად მოყვანილია "პირველკაცობის სენისაგან" განკურნება და ის, რომ პრეზიდენტობის მსურველი სანთლით უნდა იყოს საძებარი. ახლა უფრო ნათელი ხდება, რა იგულისხმებოდა, როცა ვამბობდი, რომ ლაშა ბუღაძემ პლებეურად სტიქიური მემარცხენეობის მხარე დაიჭირა: ამას ნიშნავს დეპუტატობის მსურველთა შემცირებაზე ოცნება: "განა არ ვიცით, რა ჰედონისტები გვყავს ქალაქურ პოლიტიკაში!"

მსგავსება ელიტურ მემარცხენეობასთან კი იმაში მდგომარეობს, რომ აქაც ფეხქვეშ ითელება ადამიანის თავისუფალი არჩევანი. ოღონდ, თუ ელიტური მემარცხენეობა გვეუბნება, დამნაშავე პასუხისმგებელი არ არის, რადგან მსხვერპლიაო, მდაბიური მემარცხენეობა გვარწმუნებს, რომ წარმატებისკენ მსწრაფველი ადამიანი საერთო "ჰარმონიის" დამრღვევია. ერთი უარყოფს არჩევანს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას, მეორე კი მორალურ დაღად მიიჩნევს მას. ერთი გვეუბნება, ბოროტება არ არსებობს, მეორე გვიჩიჩინებს, სიკეთე სამარცხვინოაო.

იყო დრო, როცა მეგონა, რომ ასეთმა აშკარად მემარცხენე იდეოლოგიამ მართლაც საბოლოოდ დაიხია უკან, სტატიუკებსა და ჩანახატებს შეაფარა თავი. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ აღმოჩნდა, რომ ელიტურსა და მდაბიურ აღტკინებას თან ადმინისტრაციულიც ახლავს:

საზოგადოებრივი მაუწყებლის... მაპატიეთ, ისევ ძველი ტერმინი უნდა გამოვიყენო... საზოგადოებრივი მაუწყებლის "კადრების განყოფილებაში" საოცარი რამ იკადრეს: შესავსები ანკეტა დაგვირიგეს თანამშრომლებს. აქ არის ერთი მეტად საინტერესო გრაფა, რომელიც ბევრს მოაგონებს ავადსახსენებელ "პირველ განყოფილებას", ოღონდ დღევანდელი ჯიგრულ-კაიბიჭური პონტით: "ყოფილხართ თუ არა ნასამართლევი ან მოწმედ გამოძახებული სასამართლოში?" — ამის მომგონს ალბათ მოწმეობა უფრო დიდი "გრეხი" ჰგონია, თორემ ნამდვილად არ გააერთიანებდა ამ ორ შეკითხვას. მაგრამ მინაწერი კიდევ უფრო გასაოცარია: "თუ კითხვას დადებითად უპასუხებთ, გთხოვთ კითხვარს დაურთოთ ცალკე ფურცელი, სადაც აღწერილი იქნება ზემოთაღნიშნული გარემოება". როგორც იტყვიან, სტილი დაცულია...

### ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართება

13 ივლისს, გრძელვადიანი ტყითსარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გრძელვადიანი ტყითსარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამოაცხადებამდე ინვენტარიზაცია ჩაატარა. აუქციონზე, ლიცენზია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულ სატყეო სამმართველოს ტერიტორიაზე, ამბროლაურის სატყეო უბანზე გაიცემა. აუქციონზე ხუთი ლოტი იქნება გამოტანილი - ლოტი N1 (თხმორი), საწყისი ფასით 155 623 ლარი, ლოტი N2-ზე (ნიკორწმინდა) - 672 782 ლარი, ლოტი N3 (ურავი) - საწყისი ფასით 225 745 ლარი, ლოტი N4 (ლიხეთი) - 511 102 ლარი სა ლოტი N5 (ღვიარა), რომლის საწყისი ფასი 375 366 ლარია.

გამარჯვებულმა ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა უნდა წარადგინოს. **"ჯი-ეიჩ-ენი".**

### ნიკა გილაურმა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს ახალი ეკონომიკური პაკეტი გააცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური უცხოეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს შეხვდა.

შეხვედრა სახელწმიფო კანცელარიაში დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თბილისში ვიზიტად მყოფი ქართველი ბიზნესმენები საქართველოში არსებული ეკომონიკური მდგომარეობით არიან დაინტერესებული და შეხვედრაზე სწორედ აღნიშნული თაობაზე მოხდა მათი ინფორმირება.

"საქართველოს მთავრობა ქართველ ბიზნესმენებს გააცნობს ახალ ეკონომიკურ პაკეტს, რომელიც ხელისუფლებამ საზოგადოებას ცოტა ხნის წინ შესთავაზა", - განუცხადა გილაურმა ჟურნალისტებს შეხვედრის დაწყების წინ, რომლის განმატებითაც, თუ აღნიშნულ პაკეტთან დაკავშირებით ბიზნესმენს შენიშვნები ექნებათ, მათი გათვალისწინება მოხდება. შეგახსენებთ, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან. თბილისში ეს მათი უკვე მეორე ვიზიტია. **"ჯი-ეიჩ-ენი".**

### სახელმწიფო ბიუჯეტი 314 741.9 ათასი ლარით გაიზარდა

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 314 741.9 ათასი ლარით გაიზარდა და საშემოსავლო ნაწილმა7 171 130.1 ათასი ლარი შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები პარლამენტმა მიმიდინარე რიგგარეშე სესიაზე დაამტკიცა.

ცვლილებების მიხედვით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები 37.6 მლნ ლარით გაიზარდა, საიდანაც 20.0 მლნ ლარი საჯარო სკოლების მშენობლობასა და რეაბილიტაციაზე მიიმართება, 17.6 მლნ ლარი კი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის. აღნიშნული პროექტების დაფინანსება აზიის განვითარების ბანკის და მსოფლიო ბანკის მიერ ხორციელდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 25.9 მლნ ლარით გაიზარდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 39.7 მლნ ლარით; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაფინანსება 16.3 მილიონი ლარით; ტრანსფერის ფარგლებში 69.4 მლნ ლარით გაიზარდა თბილისისთვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მოცულობა.

ამასთან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით გადახედილ იქნა დაგეგმლი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზანშეწონილობა და შემცირდა ორგანიზაციების ადმინისტრაციული ხარჯები.

კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები 45.0 მლნ ლარით შემცირდა, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებანი - 9.5 მლნ ლარით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის ასიგნებები - 4.4 მლნ ლარით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ასიგნებანი - 3.6 მლნ ლარით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ასიგნებები - 1.7 მლნ ლარით; მთავრობის კანცელარიის - 1.0 მლნ ლარით, იუსტიციის სამინისტროს - 1.0 მლნ ლარი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ასიგნებები - 650.0 ათასი ლარით; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებები - 133.6 ათასი ლარით. **"ჯი-ეიჩ-ენი".**

# დოლარი პოზიციებს თმობს

მსოფლიო სარეზერვო ვალუტის შექმნაზე რუსეთისა და ჩინეთის კვალდაკვალ, საფრანგეთი და ინდოეთიც ალაპარაკდა. დოლარის სტატუსთან დაკავშირებით საფრანგეთისა და ინდოეთის პოზიცია ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამძაფრდა. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი კრისტინ ლაგარდი და ცენტრალური ბანკის ხელმზღვანელი კრისტიან ნუაიე მსოფლიოს სავალუტო სფეროში კოორდინირებული ქმედებებისკენ უბიძგებს. **მომავალში მსოფლიო ვალუტებისთვის სტაბილურობის გარანტის შემნა ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, კრიზისის პირობებში თუ განვითარებადი ქვეყნების როლის გაზრდის ფონზე, სავალუტო ბალანსისა და მსოფლიოში მათი როლის შესახებ საკითხებიც აუცილებლად უნდა იქნას გადაჭრილი. ყურადღება უნდა გამახვილდეს არამარტო დოლარსა და ევროსთან, არამედ იენთან და იუანთან მიმართებაშიც.** - აცხადებს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი.

The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, კი ინდოეთი თავის რეზერვებში დოლარის წილის შემცირებასს გეგმავს.

იდეა, დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის ალტერნატივის შექმნის შესახებ რუსეთმა და ჩინეთმა წამოჭრა. რუსეთის პრეზიდენტმა არაერთგზიას მიანიშნა, რომ **დოლარის სისტემამ, თუ სისტემამ დაფუძნებულმა დოლარსა და ევროზე აჩვენა, რომ მას აქვს ბევრი ხარვეზი. რაც შეეხება ევროპულ ვალუტასთან მიმართებაში, ვფიქრობ, რომ ევროპამ შეძლო კრიზისის მეტ-ნაკლებად დაძლევა სწორედ იმიტომ, რომ ერთთან ევროპულ ვალუტაზე გადავიდა. წინააღმფეგ შემთხვევაში ვითარება ბევრად უფრო დრამატული იქნებოდა. აი, მომამავალი კისარეზერვო ვალუტის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. სარეზერვო ვალუტის ემიტენტი სახელმწიფოები საკუთარი ვალუტის სარეზერვო ვალუტად გარდაქმანში არიან დაინტერესებულნი. ის ქვეყნები კი, რომელნიც სარეზერვბო ვალუტას იყენებენ, ლოგიკურია დაინტერესებულნი არიან მისი სტაბილურობით. სწორედ ამიტომ, ეს პროცესი ორმხრივად საინტერსეო და მნიშვნელოვანია,** - აღნიშნავს მედვედევი.

მაშინ, როცა მსოფლიო რეზერვის 60%ზე მეტი ამერიკულ დოლარშია კონვერტირებული, არსებული სარეზერვო სტრუქტურის შეცვლა არცისე მარტივია. ამ პროცესს არაერთი წელი დასჭირდება. **არც ევრო და არც იენი არ ფლობს ინვესტირებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს. მსოფლიო სარეზერვო ვალუტის შექმნის რეალური პერსპექტივა 30-50 წლის მერე მოჩანს. მაშინ, როცა განვითარებადი ქვეყნები მზად იქნებიან იმისთვის, რომ მათი ვალუტები სარეზერვო ვალუტად იქცეს.** - ფიქრობს მედვედევი.

ამ ფონზე, ერთადერთი ვალუტა, რომელსაც შესწევს უნარი მასოფლიო სავალუტო არენაზე ევრო და დოლარი შეავიწროვოს, იუანია. ახალი სარეზერვო ვალუტის შექმნის უმოკლესი გზა ჩინეთის მიერ თავისი ეკონომიკის ლიბერალიზაციაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელისუფლება დოლარის დაუმორჩილებლობისადმი ნეგატიურად არის განწყობილი, თავისი მილიარდიანი რეზერვებისთვისაც შიშობს, რომელიც აშშ-ს სახაზინო ვალდებულებებშია მოქცეული.

იუანის მსოფლიო სარეზერვო ვალუტად გარდაქმნისთვის, როგორც ჩანს, ჩინეთი ჯერ მზად არ არის. ჩინეთის ასეთი პასიური დამოკიდებულება ექსპერტებს აძლევს საფუძველს ივარაუდონ, რომ ჩინეთს სურდა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების თვალში საკუთარი როლისთვის გაესვა ხაზი.

# ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლას რუსეთი თავადვე უშლის ხელს

*რუსეთი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრობის უმოკლეს დროში მიღებით ძალიან დაინტერესებულია. თუმცა, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან საბაჟო კავშირის შესახებ მოლაპარაკებების პროცესი კიდევ რამდენიმე წელს გასტანს. გამორიცხული არაა, რომ რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი ორგანიზაციაში ერთდროულად გაწევრიანდს, თუმცა დამოუკიდებლად, როგორც სუვერენული სახელმწიფოები. ამის შესახებ აშშ-ს ვაჭრობის მინისტრმა მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა.*

საბაჟო კავშირის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს ჯერ დასასრული არ უჩანს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი, ყაზახეთი და ბელარუსი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში დამოუკიდებლად შევლენ.

**ჩვენ ამ ორგანიცაზიის წევრობისთვის მრავალი წელია ვიბრძვით და იმედი ჯერაც არ დაგვიკარგავს. ჩვენი კოლეგები ფიქრობენ, რომ კიდევ რამდენიმე წელი მოგვიწევს მოცდა. ჩვენ მსოფლიო ვაჭრობის წევრობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები უნდა შევაფასოთ. რუსეთის ინიციატიბევი შეუცვლელია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ვკარგავთ იმ უპირატესობებს, რასაც ჩვენ საბაჟო კავშირი გვაძლევს.** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ არკადი დვორკოვიჩმა. თუმცა, ცოტა ხნით ადრე, რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი აღნიშნავდა, რომ რუსეთი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად შევიდოდა.

მოგვიანებით, საბაჟო კავშირის მონაწილე ქვეყნებმა აცნობეს ორგანიცაზიას, რომ აღნიშნული ორგანიზაციის წევრობის ფარგლებში დამოუკიდბელ მოლაპარაკებებს წყვეტდნენ. რუსეთის გადაწყვეტილებამ ევროკავშირის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ევროკომისიის მაღალჩინოსნები ფიქრობენ, რომ რუსეთი თავისი ქმედებებით ორგანიცაზიაში გაწევრიანების გზას ირთულებს. თუმცა რუსეთი ცალსახად აცხადებს, რომ მათი კურსი უცვლელია და ის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი უმოკლეს დროში გახდება.

რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ვიზიტისას აშშ-ს ვაჭრობის მინისტრმა ჰარი ლოკმა განაცხადა, რომ რუსეთი არ გამორიცხავს საბაჟო კავშირში გაწევრიანების პარალელურად მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრობის მიღებას.

დვორკოვიჩის განმარტებით, რუსეთი ორგანიცაზიას ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად შეუერთდება და თანაც ერთიანი პირობებით.

**მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შეღწევის სხვადასხვა სცენარები არსებობს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ორგანიზაციის წევრობის მიღება საბაჟო კავშირის ფარგლებში პრობლემურია. სწორედ ამის გათვალისწინებით ჩნდება მეორე სცენარი - სამივე ქვეყნის ერთდროული გაწევრიანება.** - განმარტავს რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრიანებას რუსეთი თითქმის 10 წელია ელოდება. ამ ორგანიზაციაში 135 ქვეყანაა გაერთიანებული და რუსეთს მათი ხმა ესაჭიროება. უკანასკნელად, ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას საქართველოსთან გართულებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა შეუშალა ხელი.

# გეგა გაჩეჩილაძე დაჭრეს

გუშინ, რესტორან "მატრიოშკასთან", ოპოზიციური პარტიების ლიდერი ლევან გაჩეჩილაძის შვილი გეგა გაჩეჩილაზე დაჭრეს.

გეგა გაჩეჩილაძეს ჭრილობა გულმკერდის არეში დანით აქვს მიყენებული. მას დაზიანებული აქვს მარჯვენა ფილტვი. თუმცა, როგორც ექიმები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მოადგილე ირაკლი რუხაძის განცხადებით, გაჩეჩილაძის მდგომარეობა სტაბილურია, პაციენტზე მიმდინარეობს დაკვირვება.

"მდგომარეობა არის საშუალო სიმძიმის, სიციცხლისთვის საშიში დაზიანება არ აღენიშნება. ამჟამად მიმდინარეობს დაკვირვება, რომელიც გარკვეული პერიოდი გაგრძელდება," - აცხადებს ირაკლი რუხაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, გეგა გაჩეჩილაძეს 11 ივლისს დაბადების დღე ჰქონდა, რომელიც მან და მისმა მეგობრებმა რესტორან "მატრიოშკაში" იზეიმეს.

ინცინდენტის მიზეზი, რომლის შედეგად გაჩეჩილაძე დაზარალდა, უცნობია. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩხუბი დაბადების დღეზე მყოფ ახალგაზრდებს შორის შელაპარაკებას მოყვა. თავად გაჩეჩილაძე და მისი მეგობრები ინციდენტის შესახებ არ საუბრობენ.

მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ნაპოვნია დანა, რომლითაც, სავარაუდოდ, გაჩეჩილაძე დაჭრეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს. თუმცა, ინციდენტის დეტალების დაკონკრეტებისგან სამინისტროში ჯერჯერობით თავს იკავებენ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინციდენტის თვითმხილველების დაკითხვა. დანაშაულის იარაღზე კი დანიშნულია ექსპერტიზა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საალსრულებო ბიუროს სტატისტიკა

*2009 წლის ივნისში, სააღსრულებო ბიუროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში 1 105 434.48 ლარი გადაირიცხა, 2009 წლის მაისში კი გადარიცხული თანხა 1 072 602.86 ლარს შეადგენდა. 2009 წლის ივნისში სააღსრულებო ბიუროების მიერ 3871 საქმე აღსრულდა, მაისის მაჩვენებლით აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა კი 3139 საქმეს შეადგენდა.*

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების მონაცემებით, 2009 წლის ივნისში, აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროების მიერ 2763 საქმე აღსრულდა, მაისის მონაცემებით კი, აღსრულებული საქმეების რაოდენობამ 2088 საქმე შეადგინა. 2009 წლის ივნისში აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში 458 920.37 ლარი გადაირიცხა, მაისის მაჩვენებლით კი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხა 2 982 67.89 ლარს შეადგენდა.

2009 წლის ივნისში დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროების მიერ 1108 საქმე აღსრულდა, მაისის მონაცემებით, აღსრულებული საქმეების რაოდენობა კი 1051 საქმეს შეადგენდა. ივნისში დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 646 514.11 ლარი შეადგინა.

2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო ბიუროების მიერ სულ 19 565 საქმე აღსრულდა, 2008 წლის ამავე პერიოდში აღსრულების მაჩვენებელმა კი 19208 საქმე შეადგინა. ხოლო, 2009 წლის პირველ ნახევარში სააღსრულებო ბიუროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 5 160 245, 80 ლარი შეადგინა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# რეკომენდაციები სამართალდამცველი და სასამართლო სისტემის რეფორმისთვის

ანტიკრიზისულ საბჭოში სამართალდამცველი და სასამართლო სისტემის ცვლილებების და რეფორმის ახალი ეტაპის რეკომენდაციები მზადდება.

როგორც საბჭოს ექსპერტმა სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატმა ლევან ადეიშვილმა განაცხადა, "პროექტი მზადდება და რეკომენდაციების სახით ყველა შესაბამის ორგანოს გაეგზავნება". შესაბამისი სტრუქტურების დასკვნების შემდეგ რეკომენდაციები განსახილველად საკანონმდებლო ორგანოში გადიაგზავნება.

"რეკომენდაციებში ისეთი აქტუალური საკითხები შევა, როგორიც იუსტიციის საბჭოს რეფორმა, საბჭოს წევრების დანიშვნის წესის შეცვლა, რაოდენობის გაზრდა და საბჭოს მუშაობაში სხვა ავტორიტეტული ინსტიტუტების ჩართვა, საბჭოს წევრების მიერ იუსტიციის მდივნის არჩევის შემოღება და მუშაობის გამჭირვალობის უზრუნველყოფაა. პროექტში გათვალისწინებულია უმაღლესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმა და ამ კატეგორიის მოსამართლეთა უვადო დანიშვნის წესის შემოღება, შესაბამისად, დღეს არსებული მოსამართლეთა დაკომპლექტების წესის შეცვლა. კერძოდ: სამივე ინსტანციის მოსამართლეებისათვის არსებული მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილების მოთხოვნის შეცვლა და საპელაციო და უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის სულ ცოტა ათწლიანი პრაქტიკული გამოცდილების ნორმის დაწესება," - განაცხადა ადეიშვილმა.

მისივე თქმით, რეკომენდაციებში მხარდაჭერილია დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტის შექმნის აშშ-ში და ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებული იდეა, მხოლოდ უფრო ფართო ფუნქციებით ანუ უფლებამოსილების მინიჭებით და არა ვალდებულებით, გამოიძიოს და განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე.

"რეკომენდაციებში მოხვდება და მხარდაჭერილი იქნება ასევე სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც სისხლის სამართლის და სხვა დარგებში საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს და ისინი აგვისტოს პირველ რიცხვებში შესაბამის ორგანოებს და კომისიებს გაეგზავნება," - განმარტა ადეიშვილმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# სერტიფიცირებული არასრუწლოვანი პრობაციონერები

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში კომპიუტერული პროგრამების კურსგავლილ არასრუწლოვან პრობაციონერებს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცეს.

ცერემონიას არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სამსახურის უფროსი თეიმურაზ იობიძე და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა დაესწრნენ.

"პრობაციონერებმა სწავლება სამინისტროს ინიციატივით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე გაიარეს. კომპიუტერულ საოფისე პროგრამებში ჯგუფურ მეცადინეობას სამინისტროს ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი ერთი თვის მანძილზე ატარებდა. სწავლების ბოლოს კი მონაწილეებს ტესტირება ჩაუტარდათ," - განმარტავენ სამინისტროში.

თეიმურაზ იობიძის განცხადებით, მოზარდებს შეძენილი ცოდნა დასაქმებაში დაეხმარება. "შესაბამისად დაიწევს მათ მიერ დანაშაულის განმეორების რისკი. ეს კი ჩვენს საზოგადოებას გაცილებით უსაფრთხოსა და დაცულს გახდის."- განაცხადა იობიძემ.

*პირველი*

# პატიმრები ხუთდღიანი შვებულებით ისარგებლებენ

პატიმრებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ 5-დღიანი შვებულებით. პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებების პროექტი, რომელიც "პატიმრობის შესახებ" კანონში შეიტანს ცვლილებებს ითვალისწინებს და პატიმრების მოკლევადიან შვებულებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება დაამტკიცა.

5-დღიანი შვებულებით სარგებლობა მამაკაცებს წელიწადში ორჯერ, ხოლო ქალებსა და მოზარდებს სამჯერ შეეძლებათ.

შვებულებით მხოლოდ ის პატიმრები ისარგებლებენ, რომლებიც დადებითი რეპუტაციით სარგებლობენ და მოხდილი აქვთ სასჯელის გარკვეული ნაწილი. შესაბამისი რეკომენდაცია კი სასჯელაღსრულების უწყებამ უნდა გასცეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახალი სამედიცინო ნაწილი გაიხსნება

სასჯელაღსრულების N2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში ახალი სამედიცინო ნაწილი გაიხსნება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სამედიცინო ნაწილი პირველადი ჯანდაცვისთვის საჭირო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

"სრული აღჭურვილობა, მათ შორის, ახალი სტომატოლოგიური კაბინეტი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ იქნა შეძენილი. ამ დროისთვის სრული აღჭურვა N6 საპყრობილესა და N2 მაკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებებშია შეტანილი და დამონტაჟებული. ახალი თანამედროვე სტანდარტის სამედიცინო ნაწილები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოსთვის იქნება გახსნილი,"- განმარატვენ სამინისტროში.

*პირველი*

## გატაცებულ პირუტყვს არ აბრუნებენ

გორის რაიონის სოფელ ახალუბნიდან გატაცებული საქონელის დაბრუნებაზე, ოსი სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები უარს აცხადებენ.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ვლადიმერ ჯუღელის ინფორმაციით, მსგავსი სიტუაციების დროს რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების შედეგად გატაცებული პირუტყვისა და ადამიანების დაბრუნება ხერხდებოდა, მაგრამ ახლა საქონლის დაბრუნებაზე ოკუპანტებმა კატეგორიული უარი განაცხადეს.

"ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილის მეთაურებმა, ვისაც მსგავს სიტუაციებში მუდმივად ვეკონტაქტებოდით, ოსი კრიმინალების მიერ გატაცებული საქონლის დაბრუნებაზე უარი განგვიცხადეს. მიზეზად კი დაასახელეს ის, რომ ქართულმა მხარემ მათ ახალგორიდან და პერევიდან გამოქცეული რუსი ჯარისკაცები არ გადასცა. როგორც რუსმა სამხედრო მეთაურებმა აღნიშნეს, ზემოდან მიიღეს სპეციალური გაფრთხილება, რომ ასეთ მოლაპარაკებებში აღარ ჩაერთონ."- განაცხადა ვლადიმერ ჯუღელმა

ოსმა კრიმინალებმა გორის რაიონის სოფელ ახალუბნიდან 40-მდე სული საქონელი ორი დღის წინ გაიტაცეს. სეპარატისტებმა პირუტყვი იარაღის მუქარით, საძოვრიდან წაიყვანეს. ინციდენტისას ოსებმა ერთ-ერთ ქართველს სცემეს.

*მედიანიუსი*

## მტკვარში ორი მამაკაცი გადახტა

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ორი მამაკაცი მტკვარში მეტეხის მიმდებარე ტერიტორიიდან გუშინწინ, 20 საათისთვის გადახტა.

ერთ-ერთი მათგანის წყლიდან ამოყვანა მაშველებმა დროულად შესძლეს, მეორე კი დინებამ წაიღო და ამ დრომდე ვერ პოულობენ. სხვათა შორის, ცოტა ხნით ადრე მაშველებმა ისინი გააფრთხილეს, რომ იმ ადგილას ბანაობა აკრძალული იყო და წყალში არ შესულიყვნენ, თუმცა მამაკაცები მტკვარში მაინც გადახტდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კონტრაბანდული წამლის შემოტანაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა კონტრაბანდული წამლისა და სხვა პროდუქციის შემოტანაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე დაკავებულია ანდრო საყვარელიძე და საბაჟო სამსახურის მოხელე მამუკა კაპანაძე, რომელსაც სამსახურებრივ გულგრილობაში ედება ბრალი. გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა სამგზავრო ავტობუსით, განბაჟების გარეშე დიდი ოდენობით წამლები შემოიტანა, მათ შორის - ხმარებიდან ამოღებული მედიკამენტები. ამავე გზით შემოტანილია სხვა საქონელიც. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს 20 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიადგა. საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5-წლამდე ემუქრებათ.

*მედიანიუსი*

## ყირგიზეთში სატრანზიტო გადაზიდვების ამერიკული ცენტრი "მანასი" უახლოეს პერიოდში ამოქმედდება

სატრანზიტო გადაზიდვების ამერიკული ცენტრი "მანასი", რომელიც ყირგიზეთში მდებარეობს, უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში უილიამ ბერნსმა ბიშკეკში ვიზიტისას განაცხადა. "ახალი ცენტრის შესახებ შეთანხმება მალე შევა ძალაში. მე არ ვიცი ყველა დეტალის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი ძალაში შესასვლელად ფორმალობები დასრულებულია," - განუცხადა ჟურნალისტებს ბერნსმა. მისივე თქმით, აშშ კმაყოფილია სატრანზიტო ცენტრის თაობაზე ახალი ხელშეკრულებით, რომელიც მნიშვნელოვანია ავღანეთში არსებული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე წარმოადგენს "ყირგიზეთისა და აშშ-ს წვლილს ამ საფრთხეებთან ბრძოლის წინააღმდეგ". აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ ამერიკული მხარე უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობის გამჭირვალობას, მათ შორის ტვირთებისა და ადამიანების გადაზიდვის საკითხშიც. ბერნსმა დააზუსტა, რომ ცენტრის ირგვლივ უსაფრთხოების საკითხს ყირგიზული მხარე უზრუნველყოფს და ასევე ჩატარდება ერთობლივი ოპერაციები ცენტრის შიგნით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ ბიშკეკში გამართული მოლაპარაკებებისას მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ერთობლივი ეკოლოგიური მიმოხილვების გამართვის შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გარემოზე მავნე ზემოქმედების ფაქტები.

## ჩეჩნეთში შვიდი ბოევიკი მოკლეს

ჩეჩნეთში აჩხოი-მარტინის რაიონსა და გროზნოში შვიდი ბოევიკია მოკლული, - ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი სამართალდამცავები ავრცელებენ. "11 ივლისს 13:20 საათზე დასახლებულ პუნქტ ბამუტთან, აჩხოი-მარტინის რაიონში, ტყის მასივში ჩეჩნეთის სამართალდამცავებმა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება აღმოაჩინეს, რომლის წევრებმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაწიეს. სროლის დროს განადგურებულია ოთხი ბოევიკი. სამართალდამცავებს შორის მსხვერპლი არ არის," - აცხადებენ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები. მათივე ინფორმაციით, შეიარაღებული დაჯგუფების ყველა წევრის ვინაობა დადგენილია. ამავდროულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ კვირას, გამთენიისას, გროზნოში ქარხნის რაიონში სამართალდამცავები შეეცადნენ ავტომანქანა "ჟიგულის" გაჩერებას, საპასუხოდ ავტომანქანიდან ცეცხლი გაიხსნა. სამართალდამცავების განცხადებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი ავტომატი და ხელყუმბარა.

*ჯი-ეიჩ-ენი*


**საადვოკატო ბიურო**

**გაგიწევთ კვალიფიციურ კონსულტაციასა და მომსახურებას**

**სისხლის სამართალი**

**სამოქალაქო სამართალი**

**ადმინისტრაციული სამართალი**

**მის: ხიზანიშვილის 37**

**(მეტრო" ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია)**

**ტელ: 8(22) 588108**

**858 418945 ქეთევან ქურასბედიანი**


# აკვილაში ძლიერი მიწისძვრა განმეორდა

მარიკა იაშვილი

იტალიის ქალაქ აკვილას რაიონში კვირას მორიგი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. იტალიის გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ცნობით, რიხტერის სკალით 4 ბალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები აკვილაში ადგილობრივი დროით 10:38 საათზე დაფიქსირდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი აკვილადან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობდა. ქალაქის მცხოვრებლებმა, რომლებმაც დამანგრეველი სტიქიური უბედურება 6 აპრილს ერთხელ უკვე გადაიტანეს, სახლები დაუყოვნებლივ დატოვეს. მსხვერპლისა და სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

სეისმური აქტივობა "დიდი რვიანის" სამიტის მიმდინარეობის სამივე დღეს შეიმჩნეოდა. სამიტი აკვილაში ოთხშაბათს დაიწყო და პარასკევს დასრულდა. ამ დროის მანძილზე დაფიქსირებული ბიძგები სუსტი იყო და საფრთხეს არ წარმოადგენდა.

8 ივლისს, სამიტის ოფიციალურად გახსნის დღეს, აკვილას პროვინციაში სუსტი, 2 ბალის მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა. ასეთივე სიმძლავრის ბიძგები განმეორდა საღამოსაც. მიწისძვრის ეპიცენტრი შვიდი კილომეტრით იყო დაშორებული კიპოტოსგან, სადაც მსოფლიო ლიდერები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, თუმცა იქ მიწის ზედაპირის რყევა, ბიძგების სისუსტის გამო, არ იგრძნობოდა.

9 ივლისს იმავე ზონაში სეისმოლოგებმა ოთხჯერ დაფიქსირეს 2.1 - 2.5 ბალის სიმძლავრის ბიძგები.

ფორუმის მუშაობის ბოლო დღეს, 10 ივლისს, აკვილას პროვინციაში სუსტი მიწისქვეშა ბიძგები ორჯერ დაფიქსირდა. მიწის ზედაპირის რყევის სიმძლავრემ რიხტერის სკალით 2.1 - 2.7 ბალი შეადგინა.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ აკვილაში სამიტის ჩატარება მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით გადაწყვიტა. თუმცა ქვეყნის მთავრობას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო გეგმა, რომელსაც ძლიერი ბიძგების შემთხვევაში მისია ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. ყველამ იცოდა, რომ მიმდინარე ზაფხული მძიმე იქნებოდა, თალიბებმა სერიოზული დანაკარგი განიცადეს, მაგრამ წინ კიდევ სერიოზული ბრძოლაა. საჭიროა არჩევნების სათანადოდ ჩატარება. ამერიკის პრეზიდენტის სიტყვებით, არ უნდა დავუშვათ, რომ ავღანეთი და პაკისტანი უსაფრთხო თავშესაფარი გახდეს ალ-კაიდასთვის, რომელიც შემდეგ ააფეთქებს რკინიგზის სადგურებს ლონდონში და სახლებს ნიუ-იორკში. აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, ეს არ წარმოადგენს მარტო ამერიკელების საქმეს და ევროპისთვისაც არანაკლები რისკია. ობამას ეს მიმართვა ლიტონი სიტყვები არ არის. სამხედრო ექსპერტების უმრავლესობისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ბრიტანელებს მსგავს კონფლიქტებში - ავღანეთშიც და ერაყის ორივე კამპანიის დროსაც დაკისრებული ჰქონდათ ყველაზე რთული მისიები, განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც სამხედროებისა და სპეცრაზმების იუველირული მოქმედება იყო საჭირო.

მომავალში კი, ობამას აზრით, საჭირო იქნება სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ავღანეთის საზოგადოებასთან საერთო ენის გამოსანახად. ამ ქვეყნებს არა მარტო სამხედრო სფეროში სჭირდებათ დახმარება. ავღანელ გლეხს, ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანის გარდა, სხვა შემოსავალიც უნდა გაუჩნდეს, უნდა შეიქმნას მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ხალხის ნდობას მოიპოვებს. ამას გარდა, საჭიროა ერაყში აპრობირებული ტაქტიკის გამოყენებაც. უნდა მომზადდეს და აღიჭურვოს ადგილობრივი არმია და პოლიცია, რომელსაც თანდათან გადაეცემა სიტუაციის კონტროლი.

ხელისუფლებაში ობამას მოსვლის შემდეგ, ამერიკამ ავღანეთში დამატებით 30 ათასი ჯარისკაცი გადაისროლა. დღეს ავღანეთში 56 ათასი ამერიკელი და 32 ათასი ნატო-ს სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. გაერთიანებული ძალების ახალდანიშნულ სარდალ სტენლი მაკკრისტალს ტაქტიკის სრულყოფა დაუსახეს ამოცანად, რათა მშვიდობიან მოსახლეობაში სერიოზულად შემცირდეს მსხვერპლი.

# ბრიტანელები ავღანეთში უკან არ იხევენ

ივა ჭილაკაძე

AFP' 2009

ბრიტანულ შეიარაღებულ კონტინგენტს ავღანეთში რთული პერიოდი დაუდგა. ბოლო ათი დღის განმავლობაში მათ 15 ჯარისკაცი დაკარგეს, აქედან 8 - ერთ დღე-ღამეში. ერთის გარდა, ყველა სამხედრო მოსამსახურე ნაღმების აფეთქების შედეგად დაიღუპა. 2001 წლიდან ავღანეთში ინგლისელებმა 184 კაცი დაკარგეს - უფრო მეტი, ვიდრე ერაყში. ეს, ძირითადად, პროვინცია გილმენდში მოხდა, სადაც ბრიტანელები 4 000 ამერიკელ და 650 ავღანელ ჯარისკაცთან ერთად ატარებენ ოპერაციას "პანტერის ბრჭყალი". ეს არის ავღანეთში აგვისტოში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ მსხვილმასშტაბიანი შეტევა თალიბების პოზიციებზე (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი").

ავღანეთში სიტუაციის გართულების მიუხედავად, რაც იწვევს მსხვერპლს და, შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს საზოგადოების მზარდ პროტესტს ავღანეთში მათი სამხედროების ყოფნის გამო, ბრიტანეთის ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა განაცხადა, რომ ავღანეთში სამხედრო მისიის გაგრძელება აუცილებელია. მისი აზრით, "ამაზეა დამოკიდებული ბრიტანეთის მომავალი". პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა კი აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობას სწორი სტრატეგია აქვს ავღანეთში და ამ აღმოსავლურ ქვეყანაში ბრიტანეთის ჯარები წინააღმდეგობას უწევენ ტერორიზმის გამოჩენას ბრიტანული ქალაქების ქუჩებში. ბრაუნმა ორიოდე დღის წინ, დიდი რვიანის სამიტზე ყოფნისასაც განაცხადა, რომ "ზაფხული საკმაოდ რთული გამოდგა და ის ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩვენ, მსოფლიო თანამეგობრობასთან ერთად, უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს ავღანეთში."

ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსის, სერ ჯონ სტირაპის თქმით, მსხვერპლი კიდევ შეიძლება იყოს, მაგრამ თალიბების წინააღმდეგობა თანდათან სუსტდება. მთავრობის პოზიციისგან დიდად არ განსხვავდება ოპოზიციის აზრი. კონსერვატორების ლიდერმა დევიდ კემერონმა პატივი მიაგო ავღანეთში მებრძოლი ადამიანების სიმამაცეს და მთავრობისგან მოითხოვა მეტი ვერტმფრენების გაგზავნა კონფლიქტის ზონაში, რათა ქვეითი პატრულირება ნაწილობრივ საჰაერო პატრულირებით შეიცვალოს.

ბრიტანელ სამხედროებს და საერთოდ, თავისი ქვეყნის მთავარ მოკავშირე სახელმწიფოს მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. განაში ვიზიტით მყოფმა ობამამ ვაშინგტონში გაფრენის წინ ბრიტანულ "სკაი ნიუსთან" ინტერვიუში მაღალი შეფასება მისცა გაერთიანებული სამეფოს სამხედროების სიმამაცეს და მათ წვლილს ავღანეთის სტაბილიზაციის საქმეში. "ბრიტანეთი ასრულებდა და ასრულებს განსაკუთრებულ როლს კოალიციაში," - განაცხადა მან. ობამა აგრეთვე მიიჩნევს, რომ

# დალია გრიბაუსკაიტემ ლიტვის პრეზიდენტის უფლებამოსილება მიიღო

ლიტვის ახალმა პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ პარლამენტის წინაშე ფიცი დადო და პრეზიდენტის უფლებამოსილება მიიღო.

პარლამენტის საზეიმო სხდომათა დარბაზში გრიბაუსკაიტესგან ფიცი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიასტუტის ლაპინსკასმა ჩაიბარა.

**მე, დალია გრიბაუსკაიტე, ვფიცავ ერის წინაშე, რომ ვიქნები ლიტვის რესპუბლიკისა და კონსტიტუციის ერთგული, პატივს ვცემ და დავიცავ კანონებს, დავიცავ ლიტვის ტერიტორიულ მთლიანობას; ვფიცავ, რომ კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს და ვიქნები თანაბრად სამართლიანი ყველას მიმართ; ვფიცავ, რომ მთელი ძალისხმევით ვეცდები ლიტვის დამოუკიდებლობის გამყარებას, ვემსახურები სამშობლოს, დემოკრატიას და ვიზრუნებ ხალხის კეთილდღეობაზე. შემეწიოს უფალი!"** - ასეთი ფიცი ჩაიკითხა კონსტიტუციაზე ხელდადებულმა გრიბაუსკაიტემ.

ამის შემდეგ გრიბაუსკაიტემ ხელი მოაწერა აქტს ფიცის შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერა საკონტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემაც. აქტი ფიცის შესახებ სეიმის კანცელარიაში შეინახება.

AFP ' 2009

*ლიტვის ახალი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე*

ახალმა პრეზიდენტმა ლიტვის ლიდერის პოსტზე 82 წლის ვალდას ადამკუსი შეცვალა.

ლიტვის მთავარი საარჩევნო კომისიის ცნობით, გრიბაუსკაიტეს მხარი დაუჭირა 950 407 ლიტველმა - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 68.21 პროცენტმა. ამაზე ბევრი, დაახლოებით, 1 მილიონზე მეტი ხმის მოპოვება მხოლოდ ალგირდას ბრაზაუსკასმა შეძლო 1993 წელს, თუმცა მაშინ ამომრჩეველთა აქტივობა ბევრად მაღალი იყო.

17 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 51.67 პროცენტი შეადგინა. აქედან ხმათა 11.7 პროცენტი ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ალგირდას ბუტკიავიჩიუსმა მიიღო; პარტიის წესრიგი და სამართლიანობა" კანდიდატმა ვალენტინას მაზურონისმა - 6.09 პროცენტი; ლიტვის პოლონელთა საარჩევნო აქციის კანდიდატმა და ლიდერმა ვალდემარ ტომაშევსკიმ - 4.69 პროცენტი; დამოუკიდებელმა კანდიდტმა, ექს-პრემიერმა კაზიმირა პრუნსკენემ - 3.86 პროცენტი; შრომის პარტიის კანდიდატმა, პარლამენტარმა ლორეტა გრაუჟინენემ - 3.57, ხოლო ბრიგადის სათადარიგო გენერალმა ჩესლოვას იაზერსკასმა - 0.66 პროცენტი.

დამოუკიდებელობის აღდგენის შემდეგ ლიტველებმა პრეზიდენტი პირველად 1993 წლის 14 თებერვალს აირჩიეს. მაშინ გამარჯვება ხმათა 60.1 პროცენტით ალგირდას ბრაზაუსკასმა მოიპოვა. ბრაზაუსკასი ქვეყანას 1993-დან 1998 წლამდე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი პრეზიდენტი გახდა ვალდას ადამკუსი, რომელმაც ხმათა 49.96 პროცენტი მოაგროვა. ადამკუსი ლიტვას 1998-2003 წლებში ედგა სათავეში.

სახელმწიფოს მომდევნო მეთაური გახდა როლანდ პაკსასი. იგი პრეზიდენტის პოსტს 2003-2004 წლებში იკავებდა. თუმცა პასკასი, რომელმაც არჩევნებში გამარჯვება ხმათა 54.15 პროცენტით მოიპოვა, თავის პოსტს იმპიჩმენტის შედეგად გამოეშვიდობა. ამის შემდეგ ქვეყნის ლიდერის მოვალეობას დროებით სეიმის სპიკერი ადრურას პაულაუსკასი ასრულდებდა, შემდეგ კი საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმათა 51,89 პროცენტით კვლავ ვალდას ადამკუსმა გაიმარჯვა.

# რუსული გაზი უკრაინულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

მისი რეიტინგი 25-30 პროცენტებს შორის მერყეობს. იულია ტიმოშენკოს უკრაინელი ამომრჩევლის, დაახლოებით, 17-20 პროცენტი უჭერს მხარს. მესამე ადგილზე ახალი პოლიტიკურ ფიგურად ცნობილი არსენ იაცენიუკია. მისი რეიტინგი ჯერჯერობით 10 პროცენტამდეა და როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, ამ მონაცემის ზრდა მოსალოდნელი არ არის. მართალია, იაცენიუკი ყოფილი პარლამენტის სპიკერი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრია, მაგრამ ის მაინც ახალ სახედ აღიქმება, რადგან პრეზიდენტობის ამბიცია გაუჩნდა და ახალი გუნდიც ჩამოაყალიბა. მისი დევიზია "ცვლილებები", თუმცა აქ ვერავინ გეტყვით, თუ რის შეცვლას აპირებს იაცენიუკი. **"ეს არც თავად იაცენიუკმა იცის,"** - იხუმრა ჩემთან საუბარში ერთ-ერთმა უკრაინელმა პოლიტოლოგმა.

რაც შეეხება ამჟამინდელ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს, მისი რეიტინგი 2-დან 4 პროცენტამდე მერყეობს. ამის გამო მას ზოგი დასცინის, ზოგი კი ამით ამაყობს და იუშჩენკოს დადებით მხარედ მიიჩნევს. უკრაინის პრეზიდენტის რეიტინგის კატასტროფულ ვარდნას არარეალურ და, შესაბამისად, შეუსრულებელ დაპირებებს მიაწერენ. **"მან საქმე სიტყვას დააშორა,"** - აცხადებს ყოფილი ვიცე-პრემიერი ევროინტეგრაციის საკითხებში ოლეგ რიბაჩუკი. თუმცა მიიჩნევს, რომ უკრაინისთვის მთავარი ის დემოკრატიული მონაპოვარია, რაც ქვეყანაში სწორედ იუშჩენკოს მმართველობის პერიოდში შეიქმნა. **"ჩვენ ვკარგავთ იუშჩენკოს, როგორც პრეზიდენტს, მაგრამ ვინარჩუნებთ უკრაინას, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას,"** - ამბობს რიბაჩუკი.

იუშჩენკოს, როგორც პოლიტიკოსის დაკარგვა კი, რასაკვირველია, დიდად არ აღელვებთ მის მუდმივ ოპონენტებს - პრემიერ ტიმოშენკოს და "რეგიონების" ლიდერ იანუკოვიჩს. ამ უკანასკნელს უკრაინელი პოლიტოლოგები საკმაოდ საინტერესო ფიგურად ახასიათებენ. მისმა რეიტინგმა აღმოსავლეთ უკრაინის (რომელიც პრორუსულ რეგიონად განიხილება) პარალელურად დასავლეთ უკრაინასა და კიევშიც მოიმატა. ამაში მას პრემიერ-მინისტრობის დროს გადადგმული ნაბიჯები დაეხმარა. უკრაინაში არ უარყოფენ, რომ თუ დასავლეთთან ინტეგრაციის თვალსაზრისით რამე დადებითი გაკეთდა, ყველაფერი იანუკოვიჩის პრემიერობის დროს მოხდა. **"მისმა პრემიერობამ დაადასტურა, რომ იანუკოვიჩი არ არის ცალსახად გამოკვეთილი პრორუსული ფიგურა. შესაბამისად, ვერავინ იტყვის, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში უკრაინა რუსეთთან მიბმული ქვეყანა გახდება,"** - აცხადებს პოლიტიკური მართვის ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ბონდარენკო.

განსხვავებულ პოლიტიკურ ფენომენს წარმოადგენს ამჟამინდელი პრემიერი და "ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთ-ერთი გმირი იულია ტიმოშენკო. თუკი ის თავის დროზე აშკარად გამოკვეთილი პროდასავლელი იყო, ამჟამად ძნელი სათქმელია, თუ რა პოზიცია გააჩნია მას. ბონდარენკოს თქმით, ტიმოშენკო თამაშობს და თანაც ძალიან კარგად. ბევრს მასში სწორედ ეს თამაში ხიბლავს და ამიტომაც ემხრობიან. ის სწორედ ასეთი იქნება, თუკი პრეზიდენტი გახდება. მისი ლიდერობის შემთხვევაში უკრაინა ბალანსის პოლიტიკას გაატარებს. თუმცა სხვა ექსპერტები ტიმოშენკოს პოლიტიკაში უფრო რუსულ გავლენას ხედავენ, ვიდრე დასავლურს. ამის მაგალითად კი ორი ეპიზოდი სახელდება. პირველი, რუსეთის აგრესია საქართველოში, როდესაც ტიმოშენკო **"საერთოდ დაიმალა და მისი კომენტარი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გავიგეთ,"** - იხსენებს რიბაჩუკი. ამასთანავე, ექსპერტის თქმით, ტიმოშენკოს არ გამოუხატავს ცალსახა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. მეორე ეპიზოდი კი ა.წ. ზამთარში, გაზის სკანდალის შემდეგ ტიმოშენკოს მიერ რუსეთთან უკრაინისთვის კაბალურ დოკუმენტზე ხელის მოწერა სახელდება. ამ შეთანხმების მიხედვით, უკრაინამ აიღო ვალდებულება, შეიძინოს იმაზე მეტი გაზი რუსეთისგან, ვიდრე რეალურად სჭირდება.

უკრაინაში შიშობენ, რომ შესაძლოა, სწორედ ეს დოკუმენტი იქცეს მომავალი ზამთრის უგაზობის მიზეზად. თუმცა, ეს რუსეთისთვის მხოლოდ საბაბი იქნება პროვოკაციული ნაბიჯის გადასადგმელად. მთავარი კი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში რეალური ფავორიტის გამოკვეთა და მასთან "რუსული რულეტკის" გათამაშება იქნება. თუკი უკრაინული ფავორიტი კრემლისთვის მისაღები გახდება, უკრაინელებს "გაზიანი ზამთარი" გარანტირებული აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხება, რომ რუსეთმა არასასურველი ფავორიტის წინააღმდეგ ისევ დაატრიალოს ახალი სკანდალი და უკრაინა და ევროპა კვლავ გამყინვარების ეპოქაში აღმოჩნდნენ.

**"უკრაინა რუსული გაზისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს. ტრანზიტის ტარიფი კი ყველაზე დაბალია - 1.7 ამერიკული დოლარი 1000 კუბური მეტრისთვის ყოველ 100 კმ-ზე. ამავე დროს უკრაინა ყველაზე მაღალ ფასს იხდის რუსულ გაზში - 360 ამერიკულ დოლარს,"** - აცხადებს უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში ბოგდან სოკოლოვსკი. ის ადასტურებს, რომ გასული წლის გაზის სკანდალის შემდეგ რუსეთთან დადებული შეთანხმება უკრაინისთვის წამგებიანია. **"ამჯერად ჩვენ უკვე ვითხოვთ ამ შეთანხმების გადახედვას,"** - ამბობს სოკოლოვსკი. მისი თქმით, იმ დროს უკრაინა გამოუვალ სიტუაციაში იყო და ამ შეთანხმების დადებისას სიცივეში დარჩენილი ევროპული ქვეყნების მდგომარეობაც გაითვალისწინა, როდესაც ევროპაში უკვე ტყეების და პარკების გაჩეხვა დაიწყო. ამავდროულად, უკრაინა ევროპასთან ერთად ალტერნატიულ ენერგომარშრუტებს ეძებს. ამ საკითხში კიევი "ნაბუკოს" რეალიზაციით უკიდურესად დაინტერესებულია, თუმცა **"ნაბუკოს პერსპექტივა ბუნდოვანია და 50/50-ზე ფასდება,"** - დასძენს სოკოლოვსკი. ერთ-ერთ პრიორიტეტად ენერგიის ალტერანტიული წყაროების მოძებნა და რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება სახელდება. უკვე შექმნილია სპეციალური პროგრამა. მოასწრებს თუ არა კიევი ამ ყველაფერს წელს, ძნელი სათქმელია. წინ კი უკრაინელებს უმძიმესი პოლიტიკური ბატალიები ელით, რაშიც საკუთარ სიტყვას აუცილებლად იტყვის "რუსული გაზი".

CMYK - 8

# "მეგობარი" სნესბარი

# გახსენი!

თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

CMYK - 8

## საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

ტურქულ-ქართულ კომპანია "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ბეტონშემრევის ქირაობასთან დაკავშირებით. გვსურს ვიქირაოთ

2ცალი ბეტონშემრევი, სასურველია პომპით ან ლენტური მიწოდებით, 2000წელს ზემოთ გამოშვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს 877 99 01 49 ან მარინა ჭუნიაშვილი (822) 20 74 74 877 ან (877) 990 128

**მადლობთ**

შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" სამცხე ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს სოფ. არაქვას კარიერიდან მასალის მიწოდებაზე სოფ. ხოსპიოში

ერთი მიმართულება - 17კმ.

გადასაზიდი მასალის მოცულობა - 120,000 მ3

სამუშაოს შესრულების ვადაა - 90 კალენდარული დღე

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:

1. 30 ტონიანი ექსკავატორი - 1 ერთეული
2. წყლის მანქანა - 1 ერთეული
3. თვითმცვლელი მინიმუმ 13 მ3 მოცულობის - 15 ერთეული
4. ბულდოზერი - 1 ერთეული

დაწვრილებით ინფორმაციისათვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს.

T: 877 99 01 49

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 15 ივლისი 2009

ასევე თქვენი წინადადებები მოგვაწოდეთ თბილისი, ვაჟა-ფშაველას N 71, ბლოკი 8, სართული 3, ოფისი 16.

E-mail: chuniashvili@papenburg.ge

Tel: (+995 32) 20 74 74

Fax: (+995 32) 20 74 20

საკონტაქტო პირი: მარინა ჭუნიაშვილი

# ნახევარფასად შეძენილი ორიგინალი

ოქსფორდის აშმოლის მუზეუმმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ საკუთრებაში ტიციანის სიყვარულის ტრიუმფი გადაეცა. ამ ნახატის ღირებულება მილიონ ფუნტ სტერლინგს აღემატება, იუწყება The Guardian. ეს ნამუშევარი მისმა ყოფილმა მეპატრონემ სახელმწიფოს გადასცა, რათა მემკვიდრეობაზე დაწესებული გადასახადისგან თავი დაეღწია. აშმოლის მუზეუმმა ამ ნახატში ღირებულების ნახევარზე ნაკლები - 430 ათასი ფუნტი გადაიხადა.

სიყვარულის ტრიუმფის არსებობის შესახებ სპეციალისტებმა დიდი ხანია იციან. 1960 წელს ის ხელოვნების სამეფო აკადემიაშიც კი გამოფინეს. თუმცა, იმის გამო, რომ ნამუშევარი ჭუჭყიანი ლაქით იყო დაფარული და ამასთან, გვიანი ჩარევის კვალიც ემჩნეოდა, მკვლევარებმა მის ორიგინალობაში ეჭვი შეიტანეს. მას შემდეგ, რაც ნახატს რესტავრაცია ნაციონალურ გალერეაში ჩაუტარდა და მის წარმომავლობასთან დაკავშირებული გამოკვლევებიც განხორციელდა, სიყვარულის ტრუმფის ირგვლივ არსებული ეჭვები საბოლოოდ გაბათილდა და მისი ორიგინალობაც დადასტურდა. 2009 წლის ნოემბრიდან ტიციანის ნახატი ექსპონირებული იქნება აშმოლის მუზეუმში, რომელიც იმ დროისათვის გაიხსნება და დამთვალიერებელს ხანგრძლივი და ძვირადღირებული (61 მილიონი ფუნტი) რესტავრაციის შემდეგ უმასპინძლებს. ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით კი სიყვარულის ტრიუმფს ლონდონის ნაციონალურ გალერეაშიც გამოფენენ.

2009 წლის თებერვალში შოტლანდიისა და ლონდონის ნაციონალურმა გალერეებმა ტიციანის ტილო, სახელწოდებით დიანა და აქტეონი , ჰერცოგ საზერლენდისგან გამოისყიდეს. ასეთი ინიციატივა ამ მუზეუმებს, რომლებსაც მხარი რამდენიმე ფონდმა და კერძო ინვესტორმა დაუჭირა, 50 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდათ. თუმცა, რომ არა ამ ნამუშევრის გადასარჩენად წამოწყებული ზოგადნაციონალური კამპანია, ჰერცოგი მას უცხოელ კოლექციონერებს მიჰყიდიდა.

ვინ არის ჰერცოგი საზერლენდი? მის შესახებ ყველამ იცის, ის ხომ ყველაზე შეძლებული ბრიტანელებიდან ერთ-ერთია... გასულ წელს მან გადაწყვიტა ტიციანის ორ ნამუშევარს შელეოდა და მათი გაყიდვა ას მილიონ ფუნტ სტერლინგად (184 მილიონი დოლარი) მოინდომა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ თანხას სახელმწიფო ვერ შეაგროვებდა, მაშინ ის მათ აუქციონზე გაიტანდა. საბედნიეროდ საქმე აქამდე არ მისულა, თუმცა, ჰერცოგის მიერ წაყენებული პირობების დაკმაყოფილება იოლი არ აღმოჩნდა.

ტიციანის ნამუშევრის - დიანა და აქტეონი გადასარჩენად სახელმწიფოს პირველი 50 მილიონი ფუნტი 2008 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეეგროვებინა (იმ დროს ეს ტილო ედინბურგის შოტლანდიის ნაციონალურ გალერეაში იყო გამოფენილი), დარჩენილი 50 მილიონი კი ბრიტანელებს მესაკუთრესათვის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უნდა გადაეცათ ნამუშევრისთვის დიანა და კალისტო , რომელიც იმავე მუზეუმში დროებით ინახებოდა.

შოტლანდიის ნაციონალური გალერეას კედლებზე ჰერცოგ საზერლენდის კოლექციიდან გამოფენილია 27 ძველი ოსტატის ნამუშევარი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კოლექციის ნაწილია ორი ნახატი, რომლებიც შეძლებულმა და საკუთარი ქონების წყალობით მეტად სახელმოხვეჭილმა ჰერცოგმა გასაყიდად გაიმეტა. სახემწიფომ ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ ნამუშევრები საზერლენდისგან გამოესყიდა. მასთან დადებული შეთანხმების თანახმად, საზერლენდის კოლექცია ამ მუზეუმში კიდევ 21 წელი დარჩება.

აღორძინების პერიოდის იტალიელი მხატვარი, ტიციან ვეჩელიო, 1477-1576 წლებში ცხოვრობდა. მამამისი - გრეგორ ვეჩელიო სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო. ათი წლის ასაკში ტიციანი, ძმასთან ერთად, ვენეციაში გაუშვეს, რათა მას ცნობილ მოზაიკოსთან, სებასტიან ძუკატოსთან ესწავლა. რამდენიმე წლის შემდეგ მან სწავლა ჯოვანი ბელინის სახელოსნოში გააგრძელა. იქ ლორენცო ლოტოს, ჯორჯონესა და ისეთი მხატვრების გვერდით სწავლობდა, რომლებიც მოგვიანებით სახელგანთქმული მხატვრები გახდნენ.

1518 წელს ტიციანმა შექმნა მისი ცნობილი ნამუშევარი ღვთისმშობლის ამაღლება (Assunta), ხოლო 1515 წელს - სალომეა იოანე ნათლისმცემლის თავით . 1519-1526 წლებში მან რამდენიმე საკურთხეველი მოხატა, მათ შორის, პეზაროების საკურთხეველიც. 1525 წელს შეირთო ცოლი. 1538 წელს მუშაობა დაასრულა ტილოზე ვენერა . უკანასკნელ ნახატი, სახელწოდებით ქრისტეს დატირება , ტიციანმა საკუთარი საფლავისთვის შექმნა. მხატვარი შავი ჭირით 1576 წლის 27 აგვისტოს ვენეციაში გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეობა დამთვალიერებელში აღფრთოვანებას, კოლექციონერებში კი - განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს. ტიციანის ტილოები მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებში ინახება. ზემოთაღნიშნული მაგალითი კი დასტურია იმისა, რომ სახელმწიფოები თანხებს არ იშურებენ და საყოველთაო მობილიზაციასაც კი აცხადებენ იმისათვის, რომ ამ მხატვარის ნამუშევრები ქვეუნის ფარგლებს გარეთ არ გავიდეს. მათი ასეთი დამოკიდებულებით კი, შეიძლება ითქვას, რომ გამჭრიახმა ჰერცოგმა კიდევ ერთხელ ისარგებლა და საკუთარ ქონებას მილიონი შემატა.

# კარტის მოთამაშე რემბრანტი

იან ლივენსი XVII საუკუნის ნიდერლანდელი მხატვარია. მან ახალგაზრდა რემბრანტ ჰარმენს ვან რეინი აღბეჭდა ტილოზე კარტის მოთამეშენი , რომელიც 1623-24 წლებშია შესრულებული. ასეთი მოსაზრება გამოთქვა ვაშინგტონის ნაციონალური მხატვრული გალერეის წარმომადგენელმა, ხელოვნებათმცოდნე არტურ უილოკმა (Arthur Wheelock). ამ პროფესიონალის დასკვნები გაზეთმა The Independent გამოაქვეყნა. ამის შესახებ მკითხველი უფრო დაწვრილებით The Art Newspaper-ის ახალი ნომრიდან შეიტყობს.

უილოკის აცხადებს, რომ ლივენსი დამოუკიდებელი ოსტატი იყო და უსამართლოა, როცა მას რემბრანტის მიმდევრად მიიჩნევენ. ის საზოგადოებას შეახსენებს, რომ ლივანსი და ღამის დაზვერვისა და არაერთი სხვა ცნობილი ტილოს ავტორი ამსტერდამელ ფერმწერთან, პიტერ ლასტმანთან ერთად სწავლობდნენ. საზოგადოებისთვის ცნობილია რემბრანტის პორტრეტი, რომელიც ლივენსონმა 1629 წელს დახატა. პროფესორი უილოკი ამ გამოსახულებასა და კარტის მოთამაშენის ცენტრალურ ფიგურას შორის მსგავსებას განიხილავს. მრავალფიგურიან, პატარა ზომის ტილოზე მხატვარი წარმოდგენილია, როგორც უწვერო, საოცრად სიცოცხლისმოყვარე და მხიარული მამაკაცი, რომელსაც მხარზე მოცისფრო-მოლურჯო ნაჭერი აქვს გადაფენილი. თუ პროფესორ უილოკის ჰიპოთეზას ვენდობით, მაშინ გამოდის რომ ლივენსონის მიერ ამ ნამუშევრის დასრულების მომენტში რემბრანტი 16 წლის იყო.

მართალია, ლივენსის კარტის მოთამაშენი კერძო კოლექციაში ინახება, მაგრამ 2009 წლის აგვისტომდე ის ამსტერდამის მუზეუმში რემბრანტის სახლი იქნება გამოფენილი. აღსანიშნავია, რომ რემბრანტმა სიცოცხლის განმავლობაში ავტოპორტრეტთა მთელი სერია შექმნა, რომელთაგან უმრავლესობაში ის ჩაფიქრებული და მოწყენილია გამოსახული. თუმცა, 2008 წელს ხელოვნებათმცოდნეებმა იდენტიფიკაცია გაუკეთეს მის ერთ ავტოპოტრტეტს, სადაც მხატვარი მოცინარეა გამოსახული.

ამ უკანასკნელს დიდი ისტორია აქვს. 2007 წლის ოქტომბერში ის ინგლისური აუქციონის სახლმა პირობითი სახელწოდებით - მოცინარე რემბრანტი გაყიდა. ეს ნამუშევარი, მოგვიანებით, სახელგანთქმული მხატვრის ავტოპორტრეტის დედანი აღმოჩნდა. მისი ორიგინალობა რამდენიმე წამყვანმა ექსპერტმა დაადასტურა, მათ შორის, Noortman Master Paintings-ისა და Rembrandt Research Project-ის წარმომადგენლებმა. ამის შესახებ სააგენტო Associated Press იუწყებოდა.

მოცინარე რემბრანტი კერძო ბრიტანულ კოლექციაში ას წელზე მეტხანს ინახებოდა. მისი მფლობელები ვარაუდობდნენ, რომ ეს ნამუშევარი მხატვრის მიმბაძველის ან მოსწავლის ფუნჯს ეკუთვნოდა. აუქციონზე ის 3 100 დოლარად იყო გამოტანილი, მაგრამ მისი დაწყებიდან სულ ცოტა ხანში ნახატის ფასი უფრო და უფრო გაიზარდა და საბოლოოდ, 4,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ის შეიძინა ბრიტანელმა კოლექციონერმა, რომელმაც საკუთარი ვინაობა არ გაამხილა. აუქციონის დასრულებისთანავე მან ნამუშევარი სარესტავრაციოდ გააქანა. აღნიშნული ტილო 2008 წლის 29 ივნისამდე ამსტერდამის მუზეუმში - რემბრანტის სახლი იყო გამოფენილი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოცინარი რემბრანტი , მისი იდენტიფიკაციის შემდეგ, შესაძლოს, აუქციონზე ხელახლა გაიტანონ. თუმცა, მისი ღირებულება უკვე საგრძნობლად მაღალი იქნება და როგორც Noortman Master Paintings-ის წარმომადგენლები მიიჩნევენ, ის ახლა 30-40 მილიონ დოლარზე ნაკლებად არ უნდა გაიყიდოს.

რემბრანტის ეს ავტოპორტრეტი საკმაოდ დამაჯერებლად არის დათარიღებული - ის 1628 წელს შეიქმნა, ანუ მაშინ, როდესაც მხატვარმა 20 წელს სულ ოდნავ გადააბიჯა. იმ დროისათვის ის ჯერ კიდევ მშობლიურ ლეიდენში ცხოვრობდა. ნამუშევარი სპილენძის ფენაზეა შესრულებული. მას უკანა მხარეს აქვს მონოგრამა - RHL (Rembrandt Harmenszoon Leiden), რომელიც ისეთ სტილშია შესრულებული ავტორი რომ ცოტა ხანს იყენებდა. რემბრანტის ხელწერაზე მიუთითებს ასევე მისი მონასმის ხასიათი, მასალის არჩევანი, შუქ-ჩრდილი და ფერი.

# მონტი პაიტონი უკანასკნელად მოფრინდება

## ცნობილი ბრიტანული კომედიური დასი საიუბილეო წარმოდგენას გამართავს

ლეგენდარული ბრიტანული კომედიური დასი მონტი პაიტონის მფრინავი ცირკი წელს დაარსებიდან 40 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით დასის დამაარსებლებმა და უცვლელმა წევრებმა: ერიკ აიდლმა, მაიკლ პელინმა, ტერი ჯონსმა და ტერი გილიამმა გადაწყვიტეს წლების შემდეგ ერთადერთი წარმოდგენა ჩაატარონ, რომელიც ლონდონის ალბერტ-ჰოლში მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს გაიმართება.

ეს იქნება შესანიშნავი ოთხეულის პირველი ერთობლივი გამოსვლა 2002 წლის შემდეგ. მაშინ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გავიდნენ სცენაზე, რითაც პატივი მიაგეს ჯორჯ ჰარისონის ხსოვნას. ამჯერად კი კომიკოსები დარწმუნებით აცხადებენ, რომ ეს ნამდვილად ბოლო წარმოდგენა იქნება.

ალბერტ-ჰოლის სცენაზე მონტი პაიტონი წარმოადგენს სპექტაკლს არა მესია (ის ცელქი ბიჭი იყო) , რომელიც მათ მიერვე 1979 წელს გადაღებულ ფილმ ბრაიანის ცხოვრების მიხედვითაა დადგმული. ეს არის ტიპიური პაროდია იესო ქრისტეზე, მისი მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე, რომელიც იმდენად სასაცილოა, იმდენადაა სავსე ტიპური ინგლისური იუმორით, რომ შეიძლება სიცილისგან ცუდად გახდეთ.

როგორც ერიკ აიდლის მიერ დეილი ტელეგრაფისთვის მიცემულ ინტერვიუში ვკითხულობთ, მონტი პაიტონის წევრებს წარმოდგენის გამართვის სურვილი ფულის შოვნის მიზნითაცაა განპირობებული. თუმცა მეორე მხრივ ფულის პრობლემა არც ერთს აქვს. მაგალითად თავად აიდლი მთელ მსოფლიოში ტურნეთი ერიკ აიდლი მონტი პაიტონის წარმატებით სპეკულირებს საკმაოდ წარმატებულად მოგზაურობს. მისივე თქმით, თუ ლონდონის წარმოდგენა წარმატებული იქნება, არ არის გამორიცხული კიდევ ერთი შოუ ნიუ იორკშიც დადგან. გარდა ამისა შოუს დასრულების შემდეგ გაიმართება დასის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც.

რაც შეეხება მონტი პაიტონის დასის კიდევ ორ წევრს, გრემ ჩეპმენი 1989 წელს გარდაიცვალა, ხოლო ცნობილმა მსახიობმა, ჯონ კლიზმა რატომღაც არ მოისურვა ძველ მეგობრებთან ერთად სცენაზე გასვლა.

BBC არასდროს ყოფილა ისეთი პოპულარული, როგორც 1969-1974 წლებში - მონტი პაიტონის მფრინავი ცირკის ტელეშოუები მის ეთერში სწორედ ამ პერიოში გადიოდა. პაიტონები შოუს პირველივე სეზონში გახდნენ იმდენად პოპულარულები, რომ მათ დღემდე მიიჩნევენ ყველა დროისა და ქვეყნის ყველაზე გავლენიან კომიკოსებად. თუმცა დასი მხოლოდ სატელევიზიო გამოსვლებით არ შემოიფარგლებოდა: მართავდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, უშვებდნენ ფირფიტებს, წერდნენ წიგნებს, დგამდნენ მიუზიკლებს და ოთხი სრულმეტრაჟიანი ფილმიც გადაიღეს: მონტი პაიტონი და წმინდა გრაალი , ბრაიანის ცხოვრება , მონტი პაიტონი ჰოლივუდში და ცხოვრების აზრი .

მონტი პაიტონის ისტორია მისი მომავალი წევრების შეხვედრით დაიწყო. ექვსივე კემბრიჯსა და ოქსფორდში სწავლობდა, ამიტომ ერთმანეთის მძებნა არ გაჭირვებიათ - ყველა საუნივერსიტეტო თეატრალური დასის წევრი იყო და ხშირად უწევდათ სხვადასხვა ღონისძიებაში ერთად მონაწილეობა. ამის შემდეგ ყველა თავისი გზით წავიდა, თუმცა 1969 წელს BBC-ს სტუდიაში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და ხსენებული ცნობილი შოუს კეთებაც დაიწყეს. სულ Monty Python s Flying Circus-ის 45 სერია არსებობს, რომლებიც ოთხ სეზონზეა გადანაწილებული, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ სატელევიზიო კომედიური ჟანრისთვის ახალი მიმართულება მიეცა.

საბოლოოდ მონტი პაიტონელთა ერთობლივი მუშაობის ხანა დასრულდა და ყველა მათგანმა ცალკე კარიერის მოწყობა დაიწყო. კარგი სამსახიობო გაიკეთა ჯონ კლიზმა. მან პირველად სტივენ სოდერბერგის თევზი სახელად ვანდაში გაიბრწყინა, შემდეგ ჩარლის ანგელოზებში გამოჩნდა, ბოლოს კი ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებულ ფილმებში, სადაც Q-ს თამაშობს.

ექვსეულის ყველაზე ცნობილი წევრია ტერი გილიამი, თუმცა უფრო როგორც რეჟისორი. მის მიერ 1985 წელს გადაღებული ბრაზილია ალბათ საუკეთესოა აბსურდული დრამის ჟანრში. ფილმი ჩვეულებრივი ადამიანებისა და ყოფიერების არაჩვეულებრივი ილუსტრაციაა, რომელიც ცინიზმისა და ქილიკის ნაზავშია შეფუთული. გილიამისაა ასევე გენიალური მეფე მეთევზე და შიში და სიძულვილი ლას ვეგასში , ფუტურისტული ხასიათის 12 მაიმუნი და ზღაპრული ისტორია მოქცევათა ქვეყანა . ამჯერად ტერი გილიამი მისტიკურ ფენტეზი ექიმ პარნასუსის ჯადოსნურ სამყაროს იღებს. მასზე მუშაობა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო, თუმცა ჰიტ ლეჯერის გარდაცვალების გამო, რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს, გადაღებები დროებით შეწყდა, ხოლო სცენარი მთლიანად გადაკეთდა. ახლა ლეჯერის პერსონაჟს კიდევ სამი მსახიობი ითამაშებს: ჯუდ ლოუ, კოლინ ფარელი და ჯონი დეპი.

# ეკონომიკური კრიზისის უცვეულო ანარეკლი

მსოფლიოში ცნობილი აუქციონების გამართვის სიხშირეს თუ მივადევნებთ თვალს, ვიტყვით, რომ ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ყოველთვიურად ორგანიზებულ აუქციონთა შედეგები, რომლებიც წარმატებული გარიგებების მანიშნებელია. მაგალითისთვის ორი სააუქციონო სახლის დასახელებაც კმარა, ესენია: Bonhams და Sotheby.

Bonhams-ის მიერ აუქციონზე გამოტანილმა XVIII საუკუნის იტალიელი მხატვრის ჯუზეპე ძოკის პეიზაჟმა, სახელწოდებით ხედი ტიბროზე", კოლექციონერთა ინტერესი გამოიწვია და დავის საგანიც გახდა. ამ ნამუშევრის საწყისი და სავარაუდო ფასი 150 - 250 ათას ფუნტი სტერლინგი იყო. მისი შეძენის გამო ორ კოლექციონერს შორის ცხარე კამათიც კი გაიმართა. ეს პეიზაჟი, საბოლოოდ, 1,3 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა და შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი The Daily Telegraph-ი აღნიშნავს, რომ ძოკის ფერწერისთვის ეს მსოფლიო რეკორდიაო.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ Bonhams-ის კატალოგში ამ ნამუშევრის ავტორად მითითებული იყო მეორე იტალიელი ოსტატი, კერძოდ: ანდრეა ლოკატელი. თუმცა, აუქციონის დაწყების წინ ეს მონაცემი დაზუსტდა და პეიზაჟი ჯუზეპე ძოკის ავტორობით გაიყიდა. ეს უკანასკნელი XVIII საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი პეიზაჟისტი იყო. სახელი მას ტილოზე გაცოცხლებულმა ფლორენციისა და ტოსკანის ხედებმა მოუტანა. მისი ნამუშევრები განსაკუთრებით ხიბლავდათ ინგლისელ მოგზაურებს, რომლებიც მხატვარს შეკვეთებს ხშირად აძლევდნენ და შენაძენით თავს უკვე ინგლისში იწონებდნენ.

იმ აუქციონთა შემოსავალმა კი, რომლებიც Sotheby-მ 8 ივლისს, ლონდონში გამართა, 36 მილიონი ფუნტი სტერლინგი (58 მილიონი დოლარი) შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაცია The Art Daily-მა გაავრცელა. ამ შემთხვევაში გასაყიდად გამოტანილი იყო XVI-XVIII საუკუნეების ევროპული ფერწერისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

პირველი აუქციონი ერთ კოლექციის ნიმუშებს დაეთმო. ისინი ფარმაცევტული იმპერიის, სახელწოდებით Johnson & Johnson, მემკვიდრეს - ბარბარა პიასეცკა-ჯონსონ ეკუთვნოდა. ამ აუქციონზე ნახატები და ავეჯი 9,9 მილიონ ფუნტად (15,9 მილიონ დოლარად) გაიყიდა. გაცილებით ძვირადღირებული აღმოჩნდა ბაროკოს ეპოქის წარმომადგენელი ესპანელი მხატვრის, ხოსე რიბერის პრომეთე" - ის კერძო კოლექციონერმა 3,8 მილიონ ფუნტად შეიძინა.

რაც შეეხება ძველი ოსტატების" აუქციონს, ამ ყველაზე მთავარი ლოტი აღმოჩნდა პიტერ ბრეიგელ უმცროსის ახალშობილთა ამოჟლეტა", რომლის ფასიც 2,5 - 3,5 მილიონს შორის მერყეობდა და საბოლოოდ, 4,6 მილიონ ფუნტად გაიყიდა. ანტონის ვან დეიკის მამაკაცის დიდი პორტრეტი უცნობმა კერძო კოლექციონერმა 2 მილიონ ფუნტად შეიძინა, ხოლო გოიას მიერ შესრულებული პორტრეტი - 2,6 მლიონად. ორ მილიონზე ძვირად გაიყიდა ჯორჯ სტაბსის ნამუშევარი. გაბრიელ მეტსიუსა და ფრანჩესკო გვარდის ნახატების ფასმა კი მილიონ ფუნტს გადააჭარბა.

ძველი ოსტატების" აუქციონი ზუსტად ერთი წლის წინათაც მოეწყო. მაშინ Sotheby-მ გასაყიდად არანაკლებ ცნობილი ავტორების ნამუშევრები გამოიტანა და როგორც The Art Daily იუწყებოდა, საერთო შემოსავალმა 101,5 მილიონი დოლარი (51,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი) შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ორგანიზებული აუქციონის საუკეთესო ლოტი იყო ფრანს ჰალსის მნიშვნელოვანი ნამუშევარი - ვილემ ვან ჰეიტხეისენის პორტრეტი", რომელიც კერძო კოლექციონერს ხელში 14 მილიონ დოლარად (13,995 მილიონად) ჩაუვარდა. მეორე, ყველაზე ძვირადღირებული ლოტი აღმოჩნდა - უილიამ ტერნერის ალექსანდრე პოუპის ვილა ტვიკენჰემში" (10,6 მილიონი), მესამე - იან ბრეიგელ-უფროსის მოტირალი გლეხების სცენა (6,9 მილიონი). ასევე, მაღალი შედეგები აჩვენა ლუკას კრანახ-უფროსის (4,1 მილიონი), გვიდო რენისა (3,5 მილიონი) და იაკოპო ტინტორეტოს (3,2 მილიონი) ტილოებმა.

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

**არტ-გენი**

**ვაკის პარკი - კლუბი "33ა"**

ჯგუფები რეგიონებიდან

დასაწყისი: 20.00

**კინო**

**ამირანი**

რა მოხდა ვეგასში

დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 20.00; 22.00

ტრანსფორმერები 2

დასაწყისი: 14:15; 19:30; 22:15;

მფრინავი სახლი

დასაწყისი: 12.15

შეთავაზება

დასაწყისი: 17.00

**გამოფენები**

**ხელოვნების მუზეუმი**

პიკასო საქართველოში

**ქარვასლა**

პროექტი ტექსტილი ინტერიერში . ქეთი ფერაძის, თამარ ბაქრაძისა და ირინა ლავრინენკოს ნამუშევრების გამოფენა

**ბაია**

ჯარჯი ბალანჩივაძის პერსონალური გამოფენა

**ქარვასლა**

ტექსტილი ინტერიერში

ქეთი ფერაძის, თამარ ბაქრაძის და ირინა ლავრინეკოს ნამუშევრები

**მეიდან არტ ჰოლი**

ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი გამოფენა

**შარდენი**

თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების გამოფენა

**მანანა არტ სალონი**

თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

**კამეა**

ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა

# სცენიდან რესტორანში და პირიქით

ია ვეკუა

90-იანი წლების ბოლოს აღზევებული და ახალი ათასწლეულის პირველივე წლებში მინელებული ქართული შოუ ბიზნესისგან დღეს პრაქტიკულად აღარაფერია დარჩენილი. კანტიკუნტად გვახსოვს ამ შოუსა და ბიზნესის შემქმნელთა სახელები და უფრო ძნელად ვიხსენებთ მათ რეპერტუარს. თუ გინდათ, ძველი დრო გაიხსენოთ და რომელიმე მათგანის ერთ დროს უზომოდ გაჰიტებული სიმღერა მოისმინოთ, კონცერტს ტყუილად დაელოდებით. ამ შემთხვევაში ორი ალტერნატივა არსებობს: ან ძველი ჩანაწერები უნდა მოძებნოთ ან რესტორანში უნდა წახვიდეთ, სადაც მენიუს გაცნობის დასრულებისთანავე დარბაზში ნაცნობი მელოდიები გაისმება. ოდესღაც ცნობილი მომღერლების გარდა ამავე სცენაზე შესაძლოა უფრო უკეთესი შეხვედრის მონაწილეც გახდეთ - თბილისის რესტორნებში ბევრგან შეიძლება გაცილებით სასიამოვნო შოუ პროგრამა შემოგთავაზონ, ვიდრე ეს წლების წინ ფილარმონიის სცენაზე ხდებოდა.

ხათუნა ჭავჭანიძე და თედო გორგოძე დღეს ერთ-ერთ რესტორანში მღერიან, თუმცა აქვთ სურვილი და ამბიცია, პროფესიონალურ სცენაზე მოსინჯონ ძალები. ამბობენ, რომ ორივე მათგანს გააჩნია ამისთვის საჭირო მონაცემები და უნარი, პრობლემა მხოლოდ ფინანსებია. სხვა მხრივ პრობლემას წარმოადგენს შოუ ბიზნესის კიდევ ერთი აუცილებელი დანამატის, ზოგჯერ ბინძურ თამაშებში გადასული კონკურენციის ფაქტორი, თუმცა მათივე თქმით, რესტორანში ჩატარებული ერთი საღამოს განმავლობაში ხანდახან იმდენი დამცირებისა და უსიამოვნო სიტუაციების გადატანა უწევთ, რომ ამასაც გაუმკლავდებიან. რაში მდგომარეობს უსიამოვნო სიტუაცია? ვიღაცისთვის შესაძლოა ეს სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ ხათუნა და თედო პრობლემას იმაშიც კი ხედავენ, რომ რესტორანში მოსული ადამიანების დიდი უმეტესობისთვის სცენიდან მოსმენილი სიმღერა იმ გარნირივითაა, რომელიც მთავარ კერძს ახლავს და რომლის დაგემოვნებაც შესაძლოა სულაც არ იყოს აუცილებელი.

როდესაც ასეთი აუდიტორიისთვის მღერი, ცხადია გუნებაც გიფუჭდება, თუმცა ვმოქმედებთ იმ პრინციპით, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია. ამიტომ ჩვენი რეპერტუარი ძალიან ვრცელია. მარტო თედომ ზეპირად იცის 600-მდე ქართული და 200-ზე მეტი უცხოური სიმღერა, რის გამოც გინესის რეკორდების წიგნში განაცხადიც კი შეიტანა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთვის არ არსებობს შეუსრულებელი სიმღერა, რასაც ბევრი შემსრულებელი ვერ დაიკვეხნის. საბედნიეროდ არიან ისეთებიც, ვინც რესტორანში პირველ რიგში კარგი ქართული სიმღერის მოსასმენად დადის, ესმით სიმღერის ფასი და რაც მთავარია აქვთ მოსმენის კულტურა , - ამბობს ხათუნა ჭავჭანიძე.

კიდევ ერთი დეტალი, რაც ყველაზე კარგად სწორედ რესტორანში მომღერალი მუსიკოსების შემთხვევაში შეიმჩნევა: უცხოელი სტუმარი გაცილებით აფასებს ქართულ სიმღერას ვიდრე, აქაური. გარდა ამისა, მას უკეთ ესმის რესტორანში მომღერალი ადამიანების შრომის ფასი, რადგან მათ ქვეყნებში ასეთი სამსახური სულაც არ მიიჩნევა დამამცირებლად - თუ კარგად მოუსმენთ, მათში ნამდვილად შეამჩნევთ იმ ნიჭს, რასაც ბევრი გავარსკვლავებული შემსრულებელი პრაქტიკულად მოკლებულია.

ჩვენი სტატიის გმირები თავიანთ ისტორიას თავად გვიყვებიან. **ხათუნა ჭავჭანიძე:** ბავშვობიდან ვმღერი. 5 წლიდან პიონერთა სასახლეში დავდიოდი შურა ჯანელიძესთან და ციციონო ციცქიშვილთან. შემდეგ დათო ტურიაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ ანსამბლ ნანაში ვმღეროდი, მოგვიანებით კი ცნობილ ანსამბლ თაიგულში . ვატარებდით უამრავ კონცერტს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, აგრეთვე ვმღეროდით საქართველოში სამთავრობო დონის სტუმრებისთვის დაგეგმილ კონცერტებზე. ეს იყო დიდი სკოლა, რომელმაც როგორც მუსიკალური თვისებები, ისე გემოვნებაც ჩამომიყალიბა. წლების განმავლობაში ვიყავი ფილარმონიის სოლისტი, რომლის სცენაზეც დღევანდელი შოუ ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ვმღეროდი. თუმცა ზოგ მათგანს როგორც იცით, უფრო გაუმართლა, მე კი ფინანსების არ ქონის გამო იძულებული გავხდი, აქტიურ სცენას ჩამოვშორებოდი. უბრალოდ გულდასაწყვეტია, რომ ბევრი ძალიან ნიჭიერი ადამიანი შოუ ბიზნესის მკაცრი წესების გამო თითქოს ბორტს მიღმა აღმოჩნდა და იძულებულია არა საკუთარი ხელოვნების განსავითარებლად, არამედ არსებობისთვის იმუშაოს. ეს კი ნელ-ნელა ქართული სასიმღერო კულტურის დაკარგვასაც გამოიწვევს, რადგან რესტორნის სცენაზე დგომისას ხშირად საკმაოდ დაბალი დონის სიმღერების შესრულებაც გვიწევს . თედო გორგოძე თვითნასწავლი მუსიკოსია, თუმცა ბავშვობიდან მუსიკის სამყაროში ტრიალებს. მუშაობდა ქუთაისის ფილარმონიაში, შემდეგ სიმებიანი საკრავების სტუდენტურ კონკურსში გაიმარჯვა. ახლა კი ხათუნა ჭავჭანიძის პარტნიორია. მუსიკალურად ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის, გვაქვს დუეტში შესრულების უნარი, რასაც ბევრი მომღერალი მოკლებულია. ერთმანეთში აღმოვაჩინეთ თვისებები, რაც ჩვენს დუეტს ჰარმონიულს ხდის. დუეტში ურთულესი და მეტად ემოციური მომენტია, ამ დროს პარტნიორის წინაშე საკუთარ თავს აშიშვლებ და მეტად ინტიმური ურთიერთობა მყარდება .

ამჯერად ხათუნას და თედოს კომპოზიტორ ეკა თევზაძის ორი სიმღერა აქვთ ჩაწერილი, თუმცა სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი გეგმები აქვთ: გვინდა ხალხს დავუმტკიცოთ და შევახსენოთ, რომ ცოცხლად შესრულება შესაძლებელია და ასეთი ხალხი საქართველოშიც არსებობს. რესტორნები სავსეა მომღერლებით, რომლებიც ფანტასტიკური მონაცემები აქვთ და მსოფლიო დონის ვოკალურ მონაცემებს ფლობენ. რაც შეგვეხება ჩვენ, წლების წინ მსურდა დები იშხნელების რეპერტუარი აღმედგინა და ახლებური ინტერპრეტაციით ჩამეწერა, თუმცა ეს უკვე ძალიან კარგად გააკეთა ნუკრი კაპანაძემ. ამჯამად კი ჩაფიქრებული გვაქვს გომარ სიხარულიძის სიმღერების გაცოცხლება და მსმენელის წინაშე ახლებურად წარდგენა. ვფიქრობ, ასეთი სიმღერები არ უნდა დაიკარგოს, ამისთვის კი მათი სულ უფრო მეტჯერ შესრულება და მსმენელისთვის შეხსენებაა საჭირო , - ამბობს ხათუნა ჭავჭანიძე...

# რა აღმოაჩინეს და დააბრუნეს?

უცხოენოვანი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ორი სიახლე, რომელთაგან ერთი თიხის წარმოების უძველესი ნიმუშების აღმოჩენას ეხება, ხოლო მეორე - ნიდერლანდებში მიკვლეულ ერაყის კულტურულ მემკვიდრეობას.

თავდაპირველად ჟენევის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის ექსპედიციის მიერ აღმოსავლეთში მიმდინარე გათხრებზე მოგიყვებით. იქ არქეოლოგებმა გამომწვარი და მოხატული კერამიკის მცირე ფრაგმენტი აღმოაჩინეს. აღნიშნული მონაპოვარი კი იმით არის განსაკუთრებული, რომ ის ძველი წელთაღრიცხვის 9400 წლით თარიღდება. ეს აღმოჩენა აფრიკის კონტინენტის ტერიტორიაზე მოპოვებულს შორის უძველესია. ამის შესახებ ინფორმაციას Swissinfo.ch. ავრცელებს.

ჟენევის უნივერსიტეტის არქეოლოგები ბანდიაგარის რაიონში, დაახლოებით, 20 წელია მუშაობენ. მათ ეს ნიმუში აღმოაჩინეს ადგილზე, რომელსაც უნჟუგუ ეწოდება. ამ კომპლექსს სადისციპლინარობაშორისი ჯგუფი ამუშავებს. ის ადამიანებისა და გარესამყაროს ურთიერთზემოქმედების პროცესს მაღალი პალეოლითიდან მოყოლებული დღევანდელობის ჩათვლით შეისწავლის.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ადრეულ კერამიკულ საგნად არის მიჩნეული, ეგრეთ წოდებული, ვესტონური ვენერა - თერთმეტსანტიმეტრიანი ქანდაკება, რომელიც, დაახლოებით, 26 ათასი წლით თარიღდება. მას 1925 წელს, ჩეხეთში მიაკვლიეს. 2009 წლის ივნისის დასაწყისში კი, ჩინეთის სამხრეთით, თიხის ქოთნის ნატეხები აღმოაჩინეს. ეს უკანასკნელი მეცნიერებმა 18 ათასი წლით დაათარიღეს. ამ მონაპოვარზე ვრცლად სამეცნიერო ჟურნალის, სახელწოდებით Nature, საიტზე გამოქვეყნდა. იქ აღნიშნულია, რომ თიხის ადრეული ნიმუში ხუნანის პროვინციის იუი ჩან იანის გამოქვაბულში ჩატარებული გათხრებისას აღმოაჩინეს. მას მიაკვლია არქეოლოგთა ჯგუფმა, რომელსაც ელისაბედ ბოარეტო (ისრაელის სამეცნიერო ინსტიტუტი) და სიაო ხუნ ვუ (პეკინის უნივერსიტეტი) ხელმძღვანელობდნენ. ამ მონაპოვარმა მექოთნეობის ხელობის წარმოშობის ვადა, დაახლოებით, ათასი წლით უკან გადასწია. ბუარეტოსა და ვუს აღმოჩენამ დაადასტურა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პალეოლოთიდან ნეოლითზე გადასვლა აღმოსავლეთ აზიაში უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ხმელთაშუაზღვისპირეთში და გაცილებით დიდი დროც დაიკავა.

აქამდე მექოთნეობის წარმოების ყველაზე ადრეულ ნიმუშებად მიჩნეული იყო მონაპოვარი, რომელიც 15-16 ათასი წლით იყო დათარიღებული. ახლა კი გამოირკვა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში აღმოჩენილი თიხის ქოთნების ფრაგმენტები უძველესი არ ყოფილა. ჟენევის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები კიდევ არაერთ მოსაზრებას გააქარწყლებს.

რაც შეეხება მეორე სიახლეს, ის არანაკლებ საინტერესოა. ორმა ნიდერლანდურმა სამხატვრო გალერეამ ერაყის ელჩს ამ ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი 69 არქეოლოგიური მონაპოვარი გადასცა. 2009 წლის ბოლოს ეს საგნები ბინას ერაყის ნაციონალურ მუზეუმში დაიდებს. AFR-ი გვამცნობს, რომ მანამდე ლეიდენში ამ ექსპონატების გამოფენაც იგეგმება.

BBC News-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინტერპოლის მონაწილეობით აღმოჩენილ ნივთებს შორისაა რელიეფები, კერამიკული ჭურჭელი და ა.შ.

ანარქიის პერიოდში, რომელიც 2003 წელს ერაყში ამერიკული სამხედრო ძალის შეჭრას მოჰყვა, ქვეყნიდან ათი ათასობით არქეოლოგიური მონაპოვარი უკანონოდ გაიტანეს. ბაღდადის მუზეუმიდან, დაახლოებით, 15 ათასი ექსპონატი დაიკარგა. ამ ხნის განმავლობაში უკანონოდ მითვისებულიდან სამართალდამცავებმა მხოლოდ ნახევრის მოძიება და დაბრუნება შეძლეს.

# სპორტი

## შვიდკაცას ჰანოვერული იმედგაცრუება

*საქართველო-პორტუგალიის მატჩის ეპიზოდი*

შაბათ-კვირას გერმანულ ქალაქ ჰანოვერში გაიმართა შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის წარუმატებლად დასრულდა.

საქართველოს ნაკრები ჰანოვერს ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის რანგში ეწვია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გრანდები თითქმის არ თამაშობენ, ჩვენი გუნდისთვის, სულ მცირე, ნახევარფინალში გასვლა წარმატებად ჩაითვლებოდა. ამისთვის ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება მაინც იყო საჭირო.

ასპარეზობის პირველ დღეს კახა ალანიას შეგირდებმა იმედი გაგვიცრუეს. არადა, ქართველმა მორაგბეებმა ევროპის ჩემპიონატი ისე დაიწყეს, რომ პირველი მატჩის შემდეგ ტურნირის მთავარი ფავორიტის სტატუსი მოიპოვეს.

შაბათს ქართველები ევროპის ჩემპიონს - პორტუგალიის ნაკრებს შეხვდნენ და დაამარცხეს კიდეც. სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ჩვენებურები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ, რაც ფინალში გასვლის წინაპირობა იქნებოდა.

ბორჯღალოსანთა მხარდასაჭერად ქართველთა გულშემატკივარი მრავლად შეიკრიბა. მატჩი ქართველთა უპირატესობით დაიწყო. მე-3 წუთზე ხელით გათამაშებული კარგი კომბინაციის შემდეგ მათ ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო მომენტში ველარ ივარგეს. მალე პორტუგალიელებს მორაგბე დაუშავდათ და თამაში სამი წუთით შეწყდა. მისი განახლების შემდეგ ბორჯღალოსნებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს და დავით ბოლღაშვილმა ლელო გაიტანა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. საქართველოს ნაკრები აგრესიულად თამაშობდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს, ზედ შესვენების წინ, პორტუგალიელებმა ანგარიში გაათანაბრეს - 7:7.

მეორე ნახევარი ისევ ალანიას შეგირდების უპირატესობით დაიწყო. მატჩის ბოლოს პორტუგალიელები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ. რიცხობრივი უპირატესობა ქართველებმა კარგად გამოიყენეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

ეტყობა, ევროპის ჩემპიონის ძლევამ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს სრულად წაართვა ძალები, რადგან მომდევნო ორი მატჩი ალანიას შეგირდებმა პირწმინდად წააგეს, ჯერ - ესპანეთის ნაკრებთან, მერე კი - იტალიელებთან.

დასკვნით მატჩში საქართველოს ნაკრები პოლონელთა წინაშე წარდგა. აღიარებული აუტსაიდერი - პოლონეთი ქართველ მორაგბეებს გაუძალიანდა და საქართველოს ნაკრებმაც მეტოქე მცირე სხვაობით - 26:21 დაამარცხა.

ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ ჩვენმა გუნდმა ჯგუფში ბოლოსწინა - მეოთხე ადგილი დაიკავა და გუშინ უკვე მეხუთე ადგილისთვის უნდა ებრძოლა.

იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები სინის ფინალში ანუ მეხუთე ადგილისთვის მატჩში გასულიყო, საჭირო იყო რუმინეთის ნაკრების დამარცხება. კვირას სწორედ რუმინელებთან გამართეს ქართველმა მორგაბეებმა პირველი მატჩი და დაძაბულ ბრძოლაში მეტოქე - 17:14 დაამარცხეს.

სინის ფინალში საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მეტოქე იყო მოლდოვის გუნდი. ალანიას შეგირდებმა ამჯერად უპრობლემოდ დაამარცხეს მეტოქე - 31:5 და ევროპის ჩემპიონატის მეხუთე ადგილი დაიკავეს.

| | |
|---|---|
| **პორტუგალია - საქართველო** | **7:12** |
| **ესპანეთი - საქართველო** | **26:10** |
| **იტალია - საქართველო** | **33:5** |
| **საქართველო - პოლონეთი** | **26:21** |
| **რუმინეთი - საქართველო** | **14:17** |
| **საქართველო - მოლდოვა** | **31:5** |

## ქართველებმა ნაგოიას სუპერტურნირი ორი მოგებით გახსნეს

*კოკაიმ და ტოჩინოშინმა ბაშო მოგებით დაიწყეს*

გუშინ იაპონიის ქალაქ ნაგოიაში სტარტი აიღო სეზონის რიგით მეოთხე სუპერტურნირმა სუმოში ივლისის ბაშომ. ელიტურ მაკუჩი დივიზონში ორი ქართველი ასპაპეზობს. წინა ბაშო, რომელიც მაისში გაიმართა, ორივესთვის წარმატებული გამოდგა. ლევან ცაგურია (კოკაი) მაისის ბაშოს შემდეგ მერვე მაიგაშირას რანგში აღზევდა, მისი ახალგაზრდა კოლეგა ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) კი ივნისის ბანძუკეს გამოქვეყნების შემდეგ მეხუთე მაიგაშირას რანგში მოგვევლინა.

გუშინ ივლისის სუპერტურნირის პირველი საასპარეზო დღე იყო. ორივე ქართველმა წარმატებას მიაღწია. დოჰიოზე ჯერ კოკაი გამოვიდა. მას აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა მოკუნამი ეპაექრებოდა. ქართველმა იორიკირის ილეთით დასცა მეტოქე და პირველი გამარჯვება მოიპოვა. ტოჩინოშინმაც იორიკირის ილეთით დაამარცხა აღმოსავლეთის მეექვსე მაიგაშირა ბუშიამა.

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე იქნება დასავლეთის მეექვსე მაიგაშირა ტამანოშიმა, კოკაი კი აღმოსავლეთის მეცხრე მაიგაშირას ტაკეკაზეს დაუპირისპირდება.

ტურნირის პირველ დღეს ტაკეკაზე დამარცხდა, ტამანოშიმამ კი პირველი გამარჯვება მოიპოვა.

### მილიტო "ინტერს" ეგუება

სულ ცოტა ხნის წინ მილანის ინტერმა შეიძინა არგენტინელი ფორვარდი დიეგო მილიტო, რომელიც არ მალავს, რომ ნერაძურიში გადასვლით კმაყოფილია.

მოხარული ვარ, რომ ასეთ დიდებულ კლუბში ვითამაშებ. ძალიან თბილად შემხვდნენ. ახლა მწვრთნელის მუშაობის მეთოდს ვეგუები, რადგან ჯენოაში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ინტერში ბურთით მუშაობას დიდი ყურადღება ეთმობა და ეს ძალიან მომწონს, - განაცხადა არგენტინელმა მეგოლემ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.

### ალონსოს მადრიდული პერსპექტივა ხიბლავს

ესპანეთის ნაკრებისა და ლივერპულის ბასკი ნახევარმცველი ხაბი ალონსო მადრიდის რეალში გადასვლაზე ოცნებობს. ფეხბურთელმა ოფიციალური თხოვნით მიმართა მერსისაიდული კლუბის მესვეურებს, რომ მათ ამ ტრანსფერს ხელი არ შეუშალონ.

როგორც გაირკვა, პარასკევს ალონსოსა და ლივერპულის მთავარ მწვრთნელს შორის გაიმართა სატელეფონო საუბარი, რომლის დროს ფეხბურთელმა რაფაელ ბენიტესს თავისი თხოვნა გადასცა.

რამდენიმე დღის წინ კი ბენიტესმა იმედი გამოთქვა, რომ ალონსო - მერსისაიდელთა ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა - კლუბში დარჩებოდა.

### ნესტა იმედიანადაა

გასულ სეზონში მილანი არ ბრწყინავდა. რას იზამს ეს გუნდი მომავალ სეზონში, ჯერჯერობით უცნობია. როსონერიმ დაკარგა კაკა, გუნდიდან წავიდა ანჩელოტი და მისი ადგილი ახალბედა მწვრთნელმა ლეონარდომ დაიკავა.

მილანელთა ცენტრალურ მცველს ალესანდრო ნესტას, რომელმაც გასული სეზონი ტრავმების გამო გააცდინა, იმედი აქვს, რომ მისი გუნდი მომავალ სეზონში წარმატებას მიაღწევს, თუ ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი მწყობრში ჩადგება.

დღეს მილანი ბევრისთვის გამოცანაა. მნიშვნელოვნად გავძლიერდებით, როდესაც ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი დაგვიბრუნდება. გუნდის მთავარ მწვრთნელს ლეონარდოს წარმატების მიღწევის დიდი სურვილი აქვს. ვფიქრობ, მას ეს გამოუვა. ასევე მოუთმენლად ველი ანდრეა პირლოს გამოჯანმრთელებას, რომელიც მოედანზე, უბრალოდ, შეუცვლელია, - განაცხადა ნესტამ.

### ბენიტესმა ახალგაზრდა მცველი დაიმატა

ლივერპულმა საფრანგეთის პსჟ-დან 18 წლის მცველი კრის მავინგა შეიძინა.

ახალგაზრდა ფეხბურთელმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მავინგას გადაბირება ლონდონის არსენალსაც სურდა, მაგრამ თავად მცველმა მერსისაიდელთა შემადგენლობაში თამაში არჩია.

### ოუენი ნაკრებში დაბრუნდება

ნებისმიერი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაზე ოცნებობს. გამონაკლისი არც მაიკლ ოუენი და გარი ნევილია. მანჩესტერ იუნაიტედის მცველი გარი ნევილი დარწმუნებულია, რომ თავის კლუბში ასპარეზობა თავდამსხმელ მაიკლ ოუენს ინგლისის ნაკრებში დაბრუნებაში დაეხმარება. ყოველ მოთამაშეს, რომელიც მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედის მაისურით გადის, თავისი ქვეყნის ნაკრებში მოხვედრის დიდებული შანსი ეძლევა. ამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრება ძნელია, მაგრამ თუ ამას შეძლებ, შენს წინაშე ჩინებული პერსპექტივა გადაიშლება, - განაცხადა ნევილმა. თავად 34 წლის ნევილი, რომელიც ინგლისელთა ეროვნული გუნდის თავკაცმა ფაბიო კაპელომ ყაზახებსა და ანდორელებთან საასპარეზოდ იხმო შემადგენლობაში, იმედოვნებს, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი მიეცემა: ძალიან მინდა ნაკრებში თამაში. სამწუხაროა, რომ ჩვენ აქამდე ვერ შევძელით რაიმე ჯილდოს დაუფლება და თვით ფინალამდე მისვლაც კი. თუმცა, დღეს ისეთი ძლიერები ვართ, როგორც არასოდეს. იმედი მაქვს, გადამწყვეტ თამაშებში მივიღებ მონაწილეობას .

## კმაყოფილი დიეგო

ტურინის იუვენტუსში გადაბარგებულმა ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა დიეგომ ბებერი ქალბატონის უბერებელი ლიდერი ალექს დელ პეირო საფეხბურთო გენიოსად მოიხსენია. დიეგომ კლუბში ოფიციალურად წარდგენისას ისაუბრა დელ პეიროზე, შემდეგ კი დაამატა, რომ იუვენტუსში 28-ნომრიანი მაისურით სურს თამაში, რადგან ამ რიცხვშია დაბადებული, 2-ისა და 8-ის ჯამი კი ათის ტოლია.

მიხარია, რომ იუვენტუსში აღმოვჩნდი. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული კლუბია და საინტერესო წარსულით გამოირჩევა. ტურინელთა წინადადება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მივიღე. ახლა შესაძლებლობა მეძლევა მოედანზე გავიდე ალესანდრო დელ პიეროსთან ერთად, რომელსაც ნამდვილ გენიოსად ვთვლი. რაც შეეხება ჩემს მომავალ პოზიციას, თამაშს მოედნის ცენტრში, ორი ფორვარდის უკან ვამჯობინებ , - განაცხადა დიეგომ.

## დეკუ "არისტოკრატად" დარჩება

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს დეკუს ლონდონის ჩელსიში დარჩენა სურს. ამასთან, პორტუგალიელ ფეხბურთელს გუნდში საკუთარი როლის გაზრდის ამბიციაც აქვს. სხვადასხვა კლუბიდან რამდენიმე შემოთავაზება მივიღე, მაგრამ თუ ჩელსიში დავრჩები, მნიშვნელოვანი იქნება, რომ რაიმე შეიცვალოს, რადგან გასულ სეზონში ჩემი მდგომარეობა სულაც არ მაკმაყოფილებდა , - ამბობს დეკუ, რომელიც კარიერის მინურულს ბრაზილიაში დაბრუნებას და გარკვეული ხნით იქ ასპარეზობას აპირებს, სადაც დაიბადა კიდეც: ვეროპამ დამღალა, მაგრამ, ჩელსის მიმართ პატივისცემის ნიშნად, ამ კონტინენტზე კიდევ ცოტა ხნით დავრჩები . დეკუ თავის ყოფილ მწვრთნელთან მილანის ინტერში გადასვლას აპირებდა, თუმცა, იტალიელები ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე ინგლისურ კლუბთან ვერ შეთანხმდნენ.

## როსი "ვილიარეალს" არ ღალატობს

მას შემდეგ, რაც "მანჩესტერ სიტი" არაბი მფლობელების ხელში გადვიდა, კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენიმე ძვირად ღირებული შენაძენით გააძლიერა გუნდი. თუმცა, არიან ფეხბურთელები, რომელთა შეძენა "მანჩესტერ სიტის" მფლობელებს სურთ, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავენ. ახლა "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელებს "ვილიარეალის" იტალიელი თავდამსხმელის, 22 წლის ჯუზეპე როსის შეძენა სურდათ, მაგრამ ესპანური კლუბის შეფებისგან უარი მიიღეს. ახალგაზრდა ფეხბურთელის კონტრაქტში, რომლითაც როსი დაკავშირებულია "ვილიარეალთან", გარკვევით არის აღნიშნული მისი სატრანსფერო ღირებულება - თუ ვინმე როსის შეძენას მოისურვებს, მის სანაცვლოდ 40 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. სავარაუდოდ, "სიტის" წინადადება ამ ციფრის შესაბამისი არ იყო. ფეხბურთელის აგენტმა ფედერიკო პასტორელომ განაცხადა, რომ მისი კლიენტი "ვილიარეალში" თავს მშვენივრად გრძნობს და ესპანურ კლუბს მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მის შეძენას რომელიმე ევროპული გრანდი ისურვებს. მოქმედი კონტრაქტი როსის "ვილიარეალთან" 2012 წლამდე აკავშირებს. "ჯუზეპეს გადაბირების მსურველი ბევრია, მაგრამ მსოფლიო კრიზისის გამო სათანადო თანხის გადახდას ვერავინ ბედავს. ამიტომ 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ როსი "ვილიარეალში" დარჩება. ჩემი კლიენტი აქ ბედნიერია და მხოლოდ რომელიმე გრანდში გადასვლის შემთხვევაში თუ შეელევა აქაურობას", - ამბობს პასტორელო.

## ურთიერთობის აკრძალვა

მაკედონიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის გორან პანდევის შეძენას რუსული ზენიტი ცდილობს. მან 7 ივლისს სამედიცინო ცენტრ Paidela Clinic-ში შემოწმება გაიარა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ფეხბურთელი მეგობართან ერთად მანქანით გაუჩინარდა. ცნობილი გახდა, რომ რომის ლაციოს ხელმძღვანელობამ გორან პანდევს მასმედიასთან ურთიერთობა აუკრძალა. ჟურნალისტების მიერ მისი მომავლის შესახებ დასმული შეკითხვების პასუხად, გორან პანდევმა განაცხადა: კლუბმა მთხოვა, რომ ინტერვიუ არავის მივცე. ყველაფერი ნორმალურადაა - პრესასთან ურთიერთობას ხომ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო განაგებს .

# მედია ჯომარდს ჯუმააარ...ჯოს!

გიგა გურასაშვილი

ხატია ჯიბლაძისა და ფოტო

*ესეც ჩვენ 24 საათელები*

*ლუკოილ ჯორჯიამ , ისევე როგორც შარშან და შარშანწინ, ჩვენ, მედიის წარმომადგენლები, ერთ ნავში ჩაგვსხა და საჯომარდოდ მტკვარზე, ბორჯომის ხეობაში გვიხმო. მერე კი ტელევიზიებად, რადიოებად და ჟურნალ-გაზეთებად გაგვყვეს, სამ ჯგუფში შვიდ-შვიდ გუნდად გაგვანაწილეს და მედია-ჯომარდის თასისთვის ბრძოლაც გაჩაღდა. პირველი მიზანი ის იყო, რომ ჯგუფში საუკეთესო ოთხეულში დაგვებევებინა ადგილი, მერე - ჯგუფში და შესაბამის კატეგორიაში გაგვემარჯვა, ბოლოს კი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურ ჩემპიონობაზეც ვფიქრობდით.*

პროფესიიდან გამომდინარე, სხვათა საქმიანობისა თუ მიმდინარე მოვლენების გაშუქებით ვართ დაკავებული, მაგრამ არის სასიამოვნო გამონაკლისებიც, როდესაც სხვა დროს რესპონდენტი კომპანია ჩვენთვის იცლის და ამა თუ იმ ღონისძიებაზე გვიხმობს როგორც მთავარ გმირებს. ასე რომ, წელიწადში რამდენჯერმე საკუთარ თავზეც გვიწევს რაღაცის თქმა. ლუკოილის მიერ დაწესებულ მედია-ჯომარდზე , რომელშიც, 24 საათის გარდა, საკუთარ თავს ცდიდნენ ჟურნალ-გაზეთების კატეგორიიდან: Financial, ჯორჯია თუდეი , კვირის პალიტრა , ავტო-ბილდი , Commercial, ინტერპრესნიუსი , ტელევიზიებიდან: იმედი , რუსთავი 2 (1), რუსთავი 2 (2), პირველი არხი, ალანია, კავკასია, მაესტრო, რადიოებიდან: ფორტუნა , იმედი , საქართველოს ხმა, ავტორადიო, კომერსანტი, სარკე, თი ბი სი TV და გულშემატკივრები - ჩვენს შემთხვევაში კულტურის განყოფილების ჟურნალისტი ია ვეკუა.

მიუხედავად იმისა, რომ 24 საათი ორის ნაცვლად სამი გოგონათი (სალომე ხომასურიძე, ქეთი ჯოგლიძე, ხათუნა გაბიევი) იყო წარმოდგენილი, იმდენი მაინც შევძელით, რომ ნახევარფინალში გავედით. მართალია, ჯომარდობაც იქვე დავასრულეთ, მაგრამ თავის დასამშვიდებლად ორი მიზეზი მაინც გვაქვს: ჯერ ერთი, რომ ექვსკაციან გუნდში ორის ნაცვლად სამი გოგონა გვყავდა (გენდერული თანასწორობა დავიცავით), მეორე ის, რომ ნახევარფინალში ჟურნალ-გაზეთებში მომავალ ჩემპიონთან და აბსოლუტური ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელ Financial-თან დავმარცხდით.

შეჯიბრების განაწესის მიხედვით, ჯგუფში დაწინაურებულებს აბსოლუტური ჩემპიონისა და მედია ჯომარდის თასი უნდა გაეთამაშებინათ ერთმანეთში.

ფორმულა 1-ის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, საღამოს სესიაზე აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა გაირკვა. ფინიში პირველმა გადაკვეთა რადიო საქართველოს ხმამ . მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ ტელევიზიებს შორის გამარჯვებული ალანია და ჟურნალ-გაზეთებში გამარჯვებული Financial-ი.

# გერმანია რედ ბულს დარჩა

გიგა გურასაშვილი

*მარკ უებერმა გერმანიაში კარიერის პირველი გამარჯვება იზეიმა*

სამეფო რბოლებმა გერმანიის დიდი პრიზით ცხრა ეტაპი მოილია. ნიურბურგრინგზე განვითარებულ მოვლენებს თუ ზურგს შევაქცევთ, არცერთი დიდი პრიზი არ დასრულებულა ისე, რომ ბრიტანული საჯინიბოს - ბრაუნ GP -ის წარმომადგენელი კვარცხლბეკს მიღმა დარჩენილიყოს. ახლა პირველი შემთხვევაა, როდესაც ბრაუნელები სამეულს მიღმა დარჩნენ, მათი ადგილი კი რედ ბულელებმა მარკ უებერმა და სებასტიან ფეტელმა დაიკავეს. ფერარელებმა კი ამ ცხრა ეტაპის განმავლობაში მეორედ მოახერხეს სამეულში შესვლა. მონაკოს დიდ პრიზზე თუ კიმი რაიკონენმა დაიკავა მესამე ადგილი, ამჯერად იგივე საფეხურამდე დაწინაურდა ფელიპე მასა.

ერთი სიტყვით, ავსტრალიელმა მარკ უებერმა კარიერის პირველ გამარჯვებას გამოკრა ხელი. რედ-ბულელთა გუნება-განწყობის ამაღლებას ხელი შეუწყო სებასტიან ფეტელის მეორე ადგილმაც. ამასთან მათი დაწინაურებით რედ ბული კონსტრუქტორთა ჩათვლაშიც სახიფათოდ მიუახლოვდა ამჟამინდელ ლიდერს ბრაუნ GP -ის, რომელთანაც მათი ჩამორჩენა კონსტრუქტორთა ჩათვლაში 19,5 ქულას შეადგენს. მრბოლთა საჩემპიონო დავაში 68 ქულით კი კვლავაც პირველ საფეხურს იკავებს ბრიტანელი ჯენსონ ბატონი.

**გერმანიის დიდი პრიზი ნიურბურგრინგი. 60 წრე. მანძილი: 5.148 კმ. დისტანცია: 308,863**

| | |
|---|---|
| 1. მარკ უებერი ( რედ ბული ) | 1:36:43.310 |
| 2. სებასტიან ფეტელი ( რედ ბული ) | +9,2 |
| 3. ფელიპე მასა ( ფერარი ) | +15,9 |
| 4. ნიკო როსბერგი ( უილიამსი ) | +21,0 |
| 5. ჯენსონ ბატონი ( ბრაუნ GP ) | +23,6 |
| 6. რუბენს ბარიკელო ( ბრაუნ GP ) | +24,4 |
| 7. ფერნანდო ალონსო ( რენო ) | +24,8 |
| 8. ჰეიკი კოვალაინენი ( მაკლარენი ) | +58,6 |
| 9. ტიმო გლოკი ( ტოიოტა ) | +61.4 |
| 10. ნიკ ჰაიდფელდი (BMW ზაუბერი) | +61.9 |
| 11. ჯანკარლო ფიზიკელა ( ფორს ინდია ) | +62.3 |
| 12. კაზუკი ნაკაჯიმა ( უილიამსი ) | +62.8 |
| 13. ნელსონ პიკე ( რენო ) | +68,3 |
| 14. რობერტ კუბიცა (BMW ზაუბერი) | +69,5 |
| 15. ედრიან სუტილი ( ფორს ინდია ) | +71.9 |
| 16. სებასტიან ბუემი ( ტორო როსო ) | +90.2 |
| 17. იარნო ტრული ( ტოიოტა ) | +90.9 |
| 18. ლუის ჰამილტონი ( მაკლარენი ) | +1 წრე |
| 19. კიმი რაიკონენი ( ფერარი ) | +26 წრე |
| 20. სებასტიან ბურდე ( ტორო როსო ) | +42 წრე |

**ჩემპიონთა დავა:**

| | |
|---|---|
| 1. ჯენსონ ბატონი (ინგლისი) | 68 |
| 2. სებასტიან ფეტელი (გერმანია) | 47 |
| 3. მარკ უებერი (ავსტრალია) | 45.5 |
| 4. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) | 44 |
| 5. ფელიპე მასა (ბრაზილია) | 22 |
| 6. იარნო ტრული (იტალია) | 21.5 |
| 7. ნიკო როსბერგი (გერმანია) | 20.5 |
| 8. ტიმო გლოკი (გერმანია) | 13 |
| 9. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) | 13 |
| 10. კიმი რაიკონენი (ფინეთი) | 10 |
| 11. ლუის ჰამილტონი (ინგლისი) | 9 |
| 12. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია) | 6 |
| 13. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი) | 5 |
| 14. სებასტიან ბუემი (შვეიცარია) | 3 |
| 15. რობერტ კუბიცა (პოლონეთი) | 2 |
| 16. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი) | 2 |
| 17. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია) | 0 |
| 18. ედრიან სუტილი (გერმანია) | 0 |
| 19. ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 0 |
| 20. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია) | 0 |

**კონსტრუქტორთა ჩათვლა:**

| | |
|---|---|
| 1. ბრაუნ GP | 112 |
| 2. რედ ბული | 92.5 |
| 3. ტოიოტა | 34.5 |
| 4. ფერარი | 32 |
| 5. უილიამს-ტოიოტა | 20.5 |
| 6. მაკლარენ-მერსედესი | 14 |
| 7. რენო | 13 |
| 8. BMW ზაუბერი | 8 |
| 9. ტორო როსო | 5 |
| 10. ფორს ინდია | 0 |

# მთვარეულები მადრიდიდან

ფრანც ბეკენბაუერი არასდროს უშვებს იმის შანსს, რომ გააკრიტიკოს მადრიდის რეალი . ყველა დროის საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელის აზრით, ის, რასაც ახლა ფლორენტინო პერესი აკეთებს, მას მთვარეულის საქციელს აგონებს.

შეგახსენებთ, რომ პერესს ფრენკ რიბერის გადაბირება სურს, ფრანგი კი მიუნხენის ბაიერნის მთავარი ვარსკვლავია და მისი დაკარგვა კაიზერ ფრანცს არ უნდა, თუმცა, თუ რეალი 80 მილიონ ევროს გადაიხდის, რეკორდმაისტერები რიბერის შეელევიან.

რას ვიზამთ, თუ რიბერში 80 მილიონ ევროს შემოგვთავაზებენ? დავიფქრდებით და გავყიდით. 80 მილიონი ევრო ფეხბურთელში არანორმალური თანხაა, თუმცა ყოველთვის გამოჩნდება მთვარეული, რომელიც ამ ფულს გადაიხდის , - ამბობს კაიზერ ფრანცი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვის გულისხმობს ის მთვარეულში.

*ფრენკ რიბერიში 80 მილიონს მხოლოდ მთვარეული თუ გადაიხდის*

ამის შემდეგ ბეკენბაუერმა სატრანსფერო ბაზარზე შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა: ყველამ კარგად იცის, რომ ვითარება არანორმალურია. დაუშვებელია ფეხბურთელებზე ფასების ასეთი ზრდა, თანაც, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში. დარწმუნებული ვარ, ასე გაგრძელება არ შეიძლება. უახლოეს მომავალში ვითარება აუცილებლად შეიცვლება. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი, რაც ხდება, უხამსობას ემსგავსება. მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მძვინვარებს, ხალხი უმუშევრად დარჩა, ზოგს ლუკმაპურის ფული არა აქვს, კლუბები კი ფეხბურთელებში 100 მილიონს იხდიან. თავად ფეხბურთელებს კი წელიწადში იმდენს აძლევენ, რომ ადამიანების უმეტესობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ გამოიმუშავებს იმდენს , - აცხადებს ბეკენბაუერი.

# მოურინიომ მუშაობა დაიწყო

*ჟოზე მოურინიოს რეალი არ აშინებს*

მილანის ინტერს სატრანსფერო ბაზარზე არ უაქტიურია და, როგოცრ ჩანს, არც აპირებს აქტიურობას. ნერაძურიმ მომავალი სეზონისთვის დაიწყო მზადება და, ცხადია, ყურადღების ცენტრშია მილანელთა პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მოურინიო, რომლის სამწვრთნელო კვალიფიკაციაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. მოურინიო უდავოდ დიდი მწვრთნელია, თუმცა მას აქვს კიდევ ერთი თვისება, რომლის გამო მედიისთვის საყვარელ რესპონდენტად იქცა. პორტუგალიელი ყოველთვის ახერხებს რაიმე ორიგინალურის თქმას, რითაც ერთბაშად იქცევს ხოლმე ყურადღებას.

როგორც კი ინტერმა სეზონისთვის მზადება დაიწყო, მოურინიომ ვრცლად ისაუბრა ჟურნალისტებთან და, ცხადია, ვერც სატრანსფერო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს აუარა გვერდი.

რას ვიტყვი კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერზე? რა უნდა ვთქვა? კრიშტიანუ რონალდუს უნდოდა რეალში გადასვლა, რეალს უნდოდა ფეხბურთელის ყიდვა, მანჩესტერს კი - გაყიდვა. მოკლედ, ყველა კმაყოფილია. ამას რა სჯობია, - თქვა მოურინიომ და შემდეგ სამეფო კლუბზე ისაუბრა, - რეალზე განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. გასულ სეზონში ამ გუნდის წინააღმდეგ არც გვითამაშია. პირადად მე რეალის არ მეშინია. კი ბატონო, კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელები იყიდეს, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება იტალიური გუნდების გაძლიერებას, კერძოდ, იუვენტუსს , აქაც არაფერია რაიმე აღსანიშნავი. ყველა გუნდი ცდილობს გაძლიერებას. მოკლედ, ინტერს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია, რამდენადაც არ უნდა გაძლიერდნენ .

ამის შემდეგ მოურინიო ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვამ ხუმრობის გუნებაზე დააყენა. პრესკონფერენციაზე მყოფმა რეპორტიორმა პორტუგალიელ სპეციალისტს ორჯერ დაუსვა კითხვა: როგორი ტიპის მცველი გინდათ?

თქვენი შეკითხვა მეტისმეტად ცისფრად ჟღერს. რა უნდა გიპასუხოთ, ქერა, წითური თუ შავგვრემანი?

მხოლოდ ამ მცირე განტვირთვის შემდეგ გადავიდა პორტუგალიელი ინტერის სამომავლო გეგმებზე: მიზანი ყოველთვის ერთია - წარმატება. ახლა ვარჯიშს ვიწყებთ. რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი. მოკლედ, მომავალი სეზონისთვის რუტინული სამუშაო უნდა გავიაროთ. რაც შეეხება შემადგენლობას, არაერთხელ მითქვამს, რომ გუნდში 30 ფეხბურთელი არ მჭირდება. მოედანზე მხოლოდ 11 შემიძლია გავიყვანო და რად მინდა 30? ეს ჩემთვის პრობლემაა. 30 ფეხბურთელის ვარჯიშიც პრობლემებს ქმნის. დღეს ფეხბურთელებს მხოლოდ ფული აინტერესებთ. მათ ურჩევნიათ იყვნენ გუნდში, მიიღონ მაღალი ხელფასი და საერთოდ არ ითამაშონ, ვიდრე უფრო მოკრძალებულ გუნდში დაბალ ხელფასზე გადავიდნენ და მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ , - აცხადებს მოურინიო.

ბოლოს პორტუგალიელმა კარლო ანჩელოტიზეც გააკეთა მცირე კომენტარი. როგორც იცით, ანჩელოტისა და მოურინიოს კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ. ჟურნალისტებმა პორტუგალიელს ჰკითხეს - მისცა თუ არა მან რაიმე რჩევა ანჩელოტის, როდესაც ის ჩელსიში გადავიდა, რაზეც მოურინიოსგან მოკლე და ლაკონიური პასუხი მიიღეს: ანჩელოტი არასდროს ყოფილა ჩემი მეგობარი .

## "სპორტინგმა" ლიედსონი შეინარჩუნა

ბრაზილიელმა ფორვარდმა ლიედსონმა პორტაგულიურ სპორტინგთან კონტრაქტი გააგრძელა. არადა, მისი შეძენა რამდენიმე ესპანურ და იტალიურ კლუბს სურდა.

ახალი კონტრაქტი 2012 წლამდე იქნება ძალაში, რის შემდეგაც შეიძლება კიდევ ერთი წლით გაგრძელდეს. რაც შეეხება ლიედსონის ანაზღაურებას, ბრაზილიელმა 1,9 მილიონი ევრო უნდა გამოიმუშაოს.

## "გალაქტიკოსთა" მოკრძალებული მიზნები

მადრიდის რეალი ვარსკვლავს ვარსკვლავზე ყიდულობს. ამიტომ მომავალ სეზონში გუნდს, წესით, დიდი ამბიციები უნდა ჰქონდეს, თუმცა, თუ რეალის გენერალურ დირექტორს ხორხე ვალდანოს დავუჯერებთ, მომავალ სეზონში კლუბისთვის ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული თამაში ისულაც არ არის აუცილებელი.

ჩვენ დიდი მოლოდინი გვაქვს, რაც ახალი მოთამაშეების მაღალ ოსტატობაზეა დაფუძნებული. მაგრამ, ამავე დროს, მოკლე დროში ჰარმონიული გუნდის ჩამოყალიბება უნდა მოვახერხოთ. ეს რთული ამოცანაა. არა მგონია, რომ ჩავარდნაზე უნდა ვისაუბროთ იმ შემთხვევაში, თუ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგას ვერ მოვიგებთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპის საუკეთესო კლუბებთან მოგვიწევს პაექრობა, - განაცხადა ვალდანომ.

ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონში გალაქტიკოსთა პრიორიტეტი ესპანეთის ჩემპიონატის მოგება იქნება.

## "სამპდორიამ" ძაური დაიმატა

გენუის სამპდორიამ თანალიგელ რომის ლაციოდან მარჯვენა მცველი ლუჩანო ძაური შეიძინა.

გასულ სეზონში 31 წლის ფეხბურთელი იჯარით ფლორენციის ფიორენტინაში თამაშობდა და ზაფხულის დასაწყისში რომაელებს დაუბრუნდა. თუმცა, ლაციოს ახალმა თავკაცმა დავიდე ბალარდინიმ საკუთარ გუნდში მისი ხილვა არ ისურვა.

## მარესკას კლუბის შეცვლა სურს

ესპანური სევილიას იტალიელი ნახევარმცველი ენცო მარესკა კლუბის შეცვლას აპირებს.

მართალია, ძნელია, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია. მწვრთნელს ჩემი ძალების არ სჯერა, მე კი წინსვლა მინდა და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, - განუცხადა მარესკამ ესპანელ ჟურნალისტებს.

ესპანური პრესის ცნობით, მარესკას შეძენის მსურველი კლუბისთვის, შესაძლოა, შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს მისი ხელფასი, მაგრამ ფეხბურთელი მზადაა უფრო ნაკლებ ანაზღაურებას დათანხმდეს.

თუ საჭირო იქნება, მზად ვარ, უფრო ნაკლები ხელფასი ავიღო, ვიდრე სევილიაში . მთავარია, კარგ გუნდში ვითამაშო და წარმატებებს მივაღწიო. არა აქვს მნიშვნელობა, იტალიის სერია A-ში მოხდება ეს თუ ესპანურ პრიმერადივიზიონში, - აღნიშნა იტალიელმა.

## "ქალაქელებმა" ეტო'ოზე უარი თქვეს

ესპანური ბარსელონა კამერუნის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის სამუელ ეტო`ოს მანჩესტერ სიტიში გაყიდვას დათანხმდა, მაგრამ ინგლისელები ფეხბურთელს პირადი კონტრაქტის თაობაზე ვერ შეუთანხმდნენ.

ეტო`ო უდავოდ საუცხოო ფეხბურთელია, მაგრამ მის ირგვლივ ისეთი ვითარებაა, რომ ამ გარიგებაზე უარი ვთქვით, - განაცხადა მანჩესტერ სიტის აღმასრულებელმა დირექტორმა გერი კუკმა.

## ბედნიერი იბრაჰიმოვიჩი

სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე დაიწყო საუბარი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შესაძლო ტრანსფერზე. შვედი ფეხბურთელი არ მალავდა, რომ კლუბის შეცვლა სურდა, თუმცა მისი ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი მილანის საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნებულმა ფორვარდმა განაცხადა, რომ ბედნიერია ნერაძურიში დარჩენით.

ბოლო კვირებში გაზეთებს ვკითხულობდი, მაგრამ იქ განსაკუთრებით საინტერესო არაფერი მინახავს. ახლა აქ ყოფნით ბედნიერი ვარ, ისევე როგორც ინტერში გადასვლის პირველ დღეს ვიყავი , - დასძინა შვედმა ფორვარდმა.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ახლა

21 წლის **გოგა ნარმანიას** ესაჭიროება გადაუდებელი ძვირად ღირებული ნეიროქირურგიული ოპერაცია. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ახალგაზრდა ადამიანის გადარჩენაში და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ .

**საბანკო კოდი (მფო):** 220101819

**ანგარიშწორების ანგარიში:** 2636512500051 (GeL)

მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე:

**893 72 56 60**

**წინასწარ უღრმეს მადლობას გიხდით,**

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

## პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია **4** (ოთხი) ლოტად.

| ლოტი № | **დასახელება** | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | პორტატული კომპიუტერი | 2 |
| 2 | 1) მყარი დისკი (HDD SATA) 2,5” 120 გბ | 3 |
| | 2) მყარი დისკი (HDD SATA) 2,5” 320 გბ | 5 |
| | 3) მყარი დისკი (HDD SATA) 3,5” 120 გბ | 10 |
| | 4) მყარი დისკი (HDD SATA) 3,5” 500 გბ | 6 |
| | 5) მყარი დისკი (HDD SATA) 3,5” 1 ტბ | 10 |
| | 6) მყარი დისკი (HDD IDE) 3,5” 120 გბ | 10 |
| | 7) ოპერატიული მეხსიერება 1 გბ | 20 |
| | 8) ოპერატიული მეხსიერება 2 გბ | 20 |
| | 9) პროცესორი ორ ბირთვიანი 2.5 გჰც, 800 მჰც, 2 მბ, Box | 10 |
| | 10) პროცესორი ოთხ ბირთვიანი 3.0 გჰც, 1333 მჰც,12 მბ, Box | 5 |
| 3 | მყარი დისკი (HDD SAS) 3,5” 750 გბ (IBM EXP 3000 Disk Storage - თვის) | 12 |
| 4 | 1) DVD დისკის წამკითხავი (IDE) | 10 |
| | 2) DVD დისკის ჩამწერი (IDE) | 10 |
| | 3) DVD დისკის ჩამწერი (SATA) | 10 |
| | 4) კომპიუტერის კვების წყარო 600 ვტ | 10 |
| | 5) კომპიუტერის კვების წყარო 350 ვტ | 10 |
| | 6) 12 - სანტიმეტრიანი ქულერი; | 8 |
| | 7) კლავიატურა და თაგუნა: Wireless Keyboard and Mouse Kit | 12 |
| | 8) უკაბელო ქსელის მოწყობილობა (Wireless Access Point 802.11n. 802.11g) | 3 |
| | 9) 2 პორტიანი ქსელის ადაპტერი (PCI Express 1GB) | 4 |
| | 10) HDMI სპლიტერი ხვეული წყვილის საფუძველზე (LAN Cabel) კასკადირების საშუალებით, 4 ცალი RJ-45 – HDMI კონვერტერით | 8 |
| | 11) USB დოკ-სადგური SATA 2,5 და 3,5 მყარი დისკებისათვის | 4 |
| | 12) პაჩ-პანელი 24 პორტიანი Cat 5e | 5 |
| | 13) პაჩ-პანელი 24 პორტიანი Cat 6 | 5 |
| | 14) პაჩ-კორდი 24 პორტიანი Cat 5e | 50 |
| | 15) პაჩ-კორდი 24 პორტიანი Cat 6 | 50 |
| | 16) კომპიუტერული ინსტრუმენტების კომპლექტი | 1 |

**შენიშვნა:** დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 13 ივლისიდან - 2009 წლის 3 აგვისტოს 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, სახაზინო კოდი №302008000;

**გადახდის დანიშნულება:** სატენდერო მოსაკრებელი, კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების შესყიდვის ტენდერი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (შესყიდვის ობიექტის სპეციფიკური ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზე) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 აგვისტოს 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სახამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ნატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი.